მესხეთის უნივერსიტეტი

№ 1 (258) იანვარი, 2019 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

დაანონსებული რეფორმების მოსალოდნელი შედეგები

განათლების სფეროში დაგეგმილი რეფორმები საზოგადოების ფართო ფენის განსჯის საგანი გახდა. რეფორმების ერთი ნაწილი უმაღლეს განათლებას ეხება. როგორ აისახება სიახლეები ჩვენს უნივერსიტეტზე, ამის შესახებ გვესაუბრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე.

– რეფორმის გატარება, მით უფრო, განათლების მიმართულებით, საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია, ხშირად მტკივნეულიც. დღეს უნივერსიტეტების, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსება დამოკიდებულია სტუდენტთა რაოდენობაზე. იმ პროგრამებზეც კი, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, ანუ პრიორიტეტულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტის რაოდენობის მიხედვით ირიცხება თანხა. დაფინანსების ახალ მოდელს საფუძვლად უდევს უმაღლესი დაწესებულებებისთვის საბაზო დაფინანსების შემოღება. ეს ძირეულად ცვლის ყველაფერს. დაფინანსება დამოკიდებული აღარ იქნება სტუდენტთა რაოდენობაზე. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ამ ეტაპზე მიმდინარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ერთად მოდელზე, მის დეტალებზე საუბარი და შეთანხმება.

– რაზე იქნება დამოკიდებული საბაზო დაფინანსება და, სავარაუდოდ, როდის დაფინანსდება უნივერსიტეტი ახალი მოდელის შესაბამისად?

– დაფინანსების სისტემა, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსებას, ბუნებრივია, წლების განმავლობაში მუშავდებოდა. ამ ეტაპზე მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილება. ვფიქრობთ, ეს უნივერსიტეტის მდგრადობის მნიშვნელოვანი საფუძველია. 2019 წელი დასჭირდება გარკვეული საკითხების დაზუსტებას, რეგულაციებისა და წესების შემუშავებას. საჭირო იქნება ცვლილებები შიდა რეგულაციებშიც. ვთქვათ, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია სხვა პრინციპებზე გვაქვს შემუშავებული. საბაზო დაფინანსების პირობებში რაოდენობას შევამცირებთ. ეს, ცალსახად, ხელს შეუწყობს იმას, რომ გავხდეთ კიდევ უფრო მეტად ორიენტირებული ხარისხზე, მივიღოთ არა ბევრი, არამედ უფრო მომზადებული აბიტურიენტი. ეს, რა თქმა უნდა, აბიტურიენტებში გაზრდის კონკურენციას, მაგრამ, ეს ნორმალური პროცესია.

გაგრძელება მე-2 გვ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მ ი მ ა რ თ ვ ა

გაზეთის საშუალებით, მივმართავ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, თანამშრომლებს, ვთხოვ, რომ გავუფრთხილდეთ საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობას, დროულად ჩავიტაროთ აცრები წითელას წინააღმდეგ.

მოგეხსენებათ, წითელა მწვავე ვირუსული დაავადებაა. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, წითელას ეპიდემიოლოგიამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გამოიხატა შემთხვევათა შორის უფროსი ასაკის ბავშვებისა და მოზრდილების წილის ზრდით. მოზრდილ ასაკობრივ ჯგუფში დაავადების „გადანაცვლებამ“ კი წამოჭრა ახალი პრობლემები, როგორიცაა მოზრდილ მოსახლეობაში დაავადების პრევენციისა და ეპიდაფეთქებაზე საპასუხო ღონისძიებების გატარების სირთულე, აგრეთვე, დაავადების უფრო მძიმე მიმდინარეობა და გართულებების მაღალი რისკი.

სწორედ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, თითოეულმა სტუდენტმა, თანამშრომელმა გამოიჩინოს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. ყველასთვის ცნობილია, რომ აცრა ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და მოქალაქისთვის ის უფასოა.

სტუდენტებს, რომელთაც ჩატარებული აქვთ აცრა, ვთხოვთ, შესაბამის ფაკულტეტებს მიაწოდონ დამადასტურებელი დოკუმენტი.

პრევენციის ხელშესაწყობად, სასწავლო პროცესი ერთი კვირით გადავდეთ, რათა ყველა სტუდენტს მივაწოდოთ ინფორმაცია, მივცეთ დრო ჯანდაცვის დაწესებულებებში მისასვლელად.

განსაკუთრებით მივმართავ იმ სტუდენტებს, რომელთაც გარკვეული მიზეზების გამო არ შეუძლიათ აცრის ჩატარება, მოგვაწოდონ ამის შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტი გაუწევს ორგანიზებას ვაქცინაციის პროცესს, თითოეული სტუდენტის შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად.

იმედი მაქვს, არ დაგვჭირდება ისეთი ღონისძიების გატარება, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

ავტორიზაციისკენ – წარმატებების ფონზე გვ.2-3

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული აკრედიტაცია

გვ.4

გვ.5

სამხრეთული თბილი ქარის კვალდაკვალ

გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ 20 წელი შეუსრულდა!

ვულოცავთ მრავალმხრივი თემატიკითა და შინაარსით გამორჩეულ გაზეთს „ლიტერატურულ მესხეთს“ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს! შემოქმედებით წარმატებასა და ერთგული მკითხველის სიმრავლეს ვუსურვებთ გაზეთის დამფუძნებელსა და უცვლელ რედაქტორს – ავთანდილ ბერიძეს და მის სარედაქციო საბჭოს.

დღეგრძელობა – „ლიტერატურულ მესხეთს“!



გვ.5

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 20 წლის იუბილე

აბიტურიენტების მოსამზადებელი კურსები – სტუდენტობის გარანტი

გვ.10

ქართველთა გვარ-სახელები მთვარის ზედაპირის წარმონაქმნებზე

გვ.6



სად გადის სამყაროს შეცნობის ზღვარი?

გვ.8

დაანონსებული ჩეფოჩქეპის მოსალოდნელი შედეგები

პირველი გვერდიდან

– ქალბატონო მაკა, მოგეხსენებათ, როგორი მნიშვნელოვანია აბიტურიენტებისთვის სახელმწიფო დაფინანსება. ითქვა, რომ აღარ იქნება პრიორიტეტული პროგრამები. რამდენად ხელმისაწვდომი იქნება განათლება ჩვენი აბიტურიენტებისთვის?

– აღარ იარსებებს პრიორიტეტული პროგრამების ჩამონათვალი – ვფიქრობთ, ასეთი ფორმულირება უფრო მართებულია. როგორც მოგახსენეთ, მიმდინარეობს გარკვეული დეტალების დაზუსტება. ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ ერთი რამ – ეს არ ნიშნავს, რომ სტუდენტს სახელმწიფო დაფინანსებით სწავლის საშუალება აღარ ექნება, პირიქით, ამის საშუალება ექნება ყველა სტუდენტს და ეს შესაძლებლობა აღარ იქნება მიბმული მხოლოდ პრიორიტეტულ პროგრამებთან. უნივერსიტეტს მიეცემა საშუალება, რომ სახელმწიფო დაფინანსებით მისაღები კონტინგენტის გარკვეული რაოდენობა დაგეგმოს ყველა პროგრამის ფარგლებში. დაფინანსების მოდელის არსებულ, სამუშაო ვერსიაში სახელმწიფო ოთხი მთავარი კრიტერიუმით დააფინანსებს უნივერსიტეტს და ერთ-ერთი მთავარი, მათ შორის, აკადემიური ინდიკატორი იქნება.

– სავარაუდოდ, რამდენი აბიტურიენტის მიღება იგეგმება 2020 წლისთვის?

– აქამდე ჩვენს უნივერსიტეტს პრიორიტეტული მიმართულებისთვის განსაზღვრული ჰქონდა 320 ადგილი ანუ 320 სტუდენტს ეძლეოდა შესაძლებლობა, თუ აირჩევდა წინასწარ განსაზღვრულ გარკვეულ პროგრამებს, ესწავლა სახელმწიფოს დაფინანსებით. თუ დავეყრდნობით ბაზრის კვლევას და ბოლო წლებში ჩვენს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვის მაჩვენებელს, შეიძლება დავასკვნათ, რომ 320 ადგილი საკმარისია. რაც შეეხება მიმართულებების მიხედვით გადანაწილებას, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება რეგიონის საჭიროებები, განათლება, სოფლის მეურნეობა, ასევე, უნივერსიტეტის ტრადიციული დარგები და ასე შემდეგ.

– თუ ახლავს დაფინანსების ახალ მოდელს გარკვეული რისკები, ან თუ გააუმჯობესებს უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას?

– როგორც მოგახსენეთ, ამ ეტაპზე მოდელის სამუშაო ვერსია წარედგინა უნივერსიტეტებს და ისინი თავიანთ დამოკიდებულებას ახლა აყალიბებენ. ამ კითხვებზე დამაჯერებელი და ზუსტი პასუხებისთვის აუცილებელია მოდელის საბოლოო ვერსიის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა. თავს შევიკავებთ, ჩავუღრმავდეთ რეფორმის შინაარსს და ვისაუბროთ ინდიკატორებსა თუ კრიტერიუმებზე. ჩვენი მხრიდან, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ რეგიონის უნივერსიტეტის სპეციფიკას და ამის გათვალისწინებით წარვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს. მეორე მხრივ, უნივერსიტეტის შიგნით ჩვენ აქტიურად ვსაუბრობთ ახალი მოდელის თავისებურებებზე. თითოეული ფაკულტეტის საბჭოს ცალ-ცალკე შევხვდით და გავაცანით დაგეგმილი სიახლეები. ვაცნობიერებთ, რომ მნიშვნელოვანია ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება და შიდა კონსესუსი, ამავე დროს, გვინდა, მომზადებული შევხვდეთ 2020 წელს. შეხვედრებიდან იკვეთება, რომ ჩვენი პროფესურის დამოკიდებულება დადებითია, მისაღებია ძირითადი, საყრდენი დებულებები. არის კითხვები, მაგრამ დაანონსებული რეფორმებიდან ჩვენ ცალსახად დადებით შედეგებს, მდგომარეობის გაუმჯობესებას ველოდებით როგორც ხარისხის ამაღლების, ისე ფინანსური კუთხით. მივდივართ იმ რეალობისკენ, როდესაც უნივერსიტეტში არ იარსებებს ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტი და წახალისებული იქნება აკადემიური მოსწრება. ჩნდება შესაძლებლობა, გადაიხედოს სახელფასო პოლიტიკაც, თუმცა, ეს შესაძლებლობა პირდაპირ იქნება დამოკიდებული ისევ პროფესორის საქმიანობაზე, მის ჩართულობაზე სასწავლო პროცესში და სამეცნიერო აქტიურობაზე.

რეფორმას საფუძვლად უდევს ორიენტირება შედეგსა და კონკურენციაზე. ვერ გავექცევით კონკურენციას, მეტიც – ფაკულტეტები აღმოჩნდებიან უნივერსიტეტის შიგნით კონკურენტულ გარემოში.

2019 წლის განმავლობაში გავაგრძელებთ აქტიურ შეხვედრებს სტუდენტებთან, პერსონალთან, ადმინისტრაციასთან. ვიმსჯელებთ, ჩამოვაყალიბებთ შეჯერებულ ხედვებს, დავგეგმავთ მომავალს. აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო იმსჯელებს ამაზე. ვფიქრობთ, რეფორმა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ უნივერსიტეტი განვითარდეს.

– წარმატებას გისურვებთ, ქალბატონო მაკა, უნივერსიტეტის განვითარების გზაზე.

– გმადლობთ.

ინტერვიუერი
მარინე ზედელაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების აკრედიტაციისა და უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესებთან დაკავშირებით, გვესაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი თეა თათენაშვილი.

– ქალბატონო თეა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა მოდიოდნენ შესაბამისობაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებთან. ვიცით, რომ გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შეიცავს ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია და რამდენიმე თვეში უწევს ავტორიზაციის გავლაც. თავდაპირველად, გვესაუბრეთ იმ პროგრამებზე, რომლებმაც უკვე გაიარეს აკრედიტაცია.

– 2018 წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საკმაოდ შრომატევადი, მაგრამ წარმატებული და ნაყოფიერი წელი იყო. ხუთმა პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია, სამი პროგრამა კი გაგზავნილია სააკრედიტაციოდ და უახლოეს მომავალში ველოდებით ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტებს. როგორც მოგეხსენებათ, ავტორიზაცია და აკრედიტაცია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია, რომლის მიზანია განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნა. ძველი სტანდარტები, ძირითადად, რესურსების შეფასებაზე იყო ორიენტირებული, საკმაოდ ზოგადი და თავისი შინაარსით დაშორებული ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებისა და რეკომენდაციებისგან.

ევროპული სტანდარტები გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას, შეფასების პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების (მათ შორის, საერთაშორისო), სტუდენტისა და დამსაქმებლის ჩართულობას, მიღწეული შედეგების შეფასებას, ევროპულ-საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას და კვალიფიკაციების აღიარებას, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა თუ აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილებისათვის, სწავლის, კვლევისა და დასაქმების მოქნილი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მექანიზმების შექმნას. პროგრამული აკრედიტაცია საჭიროა იმისთვის, რომ პროგრამაზე დაწესებულებამ მიიღოს სტუდენტი სახელმწიფო გრანტით.

რაც შეეხება უკვე აკრედიტებულ პროგრამებს, ესენი გახლავთ: **დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა,** რომელიც მაგისტრის კვალიფიკაციას ანიჭებს. როგორც მოგეხსენებათ, ეს არის სრულიად ახალი პროგრამა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და იმ პრიორიტეტული პროგრამების ჩამონათვალშია, რომელიც 2018 წელს სახელმწიფომ დააფინანსა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც იმ უნივერსიტეტების სიაშია, რომლებიც აღნიშნულ აკრედიტებულ პროგრამას ახორციელებენ. 2018 წელს პროგრამაზე 35 სტუდენტი ჩაირიცხა.

ასევე აკრედიტირებულია **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, აგრონომიის საბაკალავრო** და **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამები.** ყველა ამ პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია შვიდი წლის ვადით, გარდა მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული პროგრამისა, ვინაიდან, აკრედიტაციის დებულების თანახმად, მისი წარდგენა მოხდა როგორც ახალი პროგრამის და, შესაბამისად, ახალ პროგრამებს ოთხი წლის ვადით ენიჭებათ აკრედიტაცია, დანარჩენებმა კი რეაკრედიტაცია გაიარეს.

ავტორიზაციისკენ – წარმატებების ფონზე

– საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო და ეფუძნება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის ანალიზს, ასევე, ექსპერტთა ვიზიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას. გვესაბრეთ, უნივერსიტეტის მხრიდან ამ კუთხით გაწეული შრომის შესახებ.

– პროგრამების სააკრედიტაციოდ წარდგენამდე და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტების დროსაც უნივერსიტეტის თანამშრომელების გარკვეულმა ჯგუფმა საკმაოდ დიდი სამუშაო შეასრულა; ეს იყო დაუღალავი, შრომატევადი და, რა თქმა უნდა, ნაყოფიერი საქმიანობა, რომელიც დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. ამ პროცესებში ჩართული იყვნენ როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თავად რექტორის – ქალბატონ მაკა ბერიძის მონაწილეობა. მისი საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა როგორც მხოლოდ შემფასებლის, რეკომენდაციების გამწევის, არამედ, უშუალოდ, სპეციალისტებთან ერთად მუშაობდა სილაბუსებზე, თვითშეფასების ანგარიშზე და ასე შემდეგ.

ამ პროცესებს კოორდინირებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის თითოეული თანამშრომელი, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად, მუშაობდნენ პროგრამებზე, სილაბუსებზე, პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებზე, თანდართულ დოკუმენტაციაზე. თითოეულ პროგრამას საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია ერთვოდა. აკრედიტაციის საბჭომ პერიოდულად, განრიგის მიხედვით, ყველა პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია. საბჭო, გადაწყვეტილების მიღებისას, ეფუძნება აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნებს და მის საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპერტებმა, თითქმის, ყველა პროგრამას თითოეულ სტანდარტზე **უმეტესად სრული** და **მეტწილად შესაბამისობა** მიანიჭეს. ეს დიდი წარმატებაა.

აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ექსპერტთა და საბჭოს მხრიდანაც იყო გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც უკვე გათვალისწინებულ იქნა და უმეტესად ასახულიცაა პროგრამებში, გარდა გარკვეული რეკომენდაციებისა, რომლებიც პერმანენტულად აისახება.

– გვესაუბრეთ თითოეული აკრედიტირებული პროგრა-

→

მის „სიკეთეებზე.“ რატომ უნდა აირჩიონ აბიტურიენტებმა ეს პროგრამები? გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ აღნიშნულმა პროგრამებმა აკრედიტაციისთვის დააკმაყოფილეს აკრედიტაციის 5 სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება; პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. ამ სტანდარტების დაკმაყოფილება საკმაოდ რთული, მაგრამ პროგრამების არსებობის მყარი გარანტია.

– ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, 2018 წლის ნოემბერში, 7 წლიანი აკრედიტაცია მოიპოვეს. პროგრამის აკრედიტაციის მოსამზადებელ პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩართულნი დაინტერესებული მხარეები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები. ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების ძლიერი მხარე გახლავთ პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პროგრამის აკადემიური პერსონალის, დაახლოებით, 95 პროცენტის აფილირება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რაც განაპირობებს პროგრამის მდგრადობას და პერსონალის გადინების შესაძლებლობის მინიმალიზაციას, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ხელს უწყობს (დაწესებულების მისიიდან გამომდინარე) პროგრამაზე 1+4 პროგრამის ფარგლებში რეგიონის არაქართულენოვანი (სომხურენოვანი) სტუდენტების ჩარიცხვას, რომლებსაც საკმაოდ კარგი აკადემიური მოსწრებაც აქვთ და ინტეგრირებულები არიან პროგრამის სხვა სტუდენტებთან.

2019 წლის იანვარში კიდევ ერთი რეაკრედიტებული პროგრამა შეემატა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების რიცხვს. ეს გახლავთ **ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.** 21-ე საუკუნეში თანაბარი შესაძლებლობების შექმნა უმაღლესი განათლების მისაღებად ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი განმახორციელებელიც გახლავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონი მრავალეთნიკურ, მულტილინგვურ მხარეს წარმოადგენს, პროგრამას აბიტურიენტთა მხრიდან დიდი დაინტერესება აქვს. როგორც ცნობილია, პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო 2010 წლიდან. მისი შემუშავება მიმდინარეობდა პარტნიორ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში. თუმცა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო. შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც ახალქალაქში, უნივერსიტეტის დღევანდელ მე-3 კორპუსში, ეროვნულ უმცირესობათა დარგში ეუთოს უმაღლესი

კომისრის ოფისის მიერ დაფინანსებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში, გაიარა ტრენინგი ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების მეთოდიკაში. 2010 წელს, სხვადასხვა უნივერსიტეტის პედაგოგებთან ერთად, შემუშავდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამა არაქართველი პირველკურსელებისათვის, რასაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარკვეული გამოცდილებითა და მზადყოფნით შეხვდა (სწორედ აკადემიური პერსონალის კუთხით). ამ პროგრამამ ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან უმაღლესი შეფასება და დამსახურებული აკრედიტაცია მიიღო. მინდა გავიხსენო ის მომენტი, როდესაც ამ პროგრამის აკრედიტაციის ვიზის დასასრულს ექსპერტმა განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები არამარტო საუბრობენ სახელმწიფო ენაზე, არამედ სახელმწიფოებრივადაც აზროვნებენ. ეს უნივერსიტეტისათვის დიდი მიღწევაა.

რაც შეეხება აგრონომიის საბაკალავრო პროგრამას. მიუხედავად იმისა, რომ აგრარული მიმართულება რეგიონისთვის, მისი პოტენციალიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მიმართულებაა, არსებობს პროფესიონალი კადრების დეფიციტი. აგრონომთა საშუალო ასაკი მაღალია. გარდა ამისა, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის ანალიზიდან გამომდინარე, გაჩნდა, ასევე, პროგრამაზე აბიტურიენტთა მოზიდვის აუცილებლობაც.

2018 წელს მოხდა პროგრამის განახლება. აგრარულ სფეროში თანამედროვე გამოწვევების, დასავლური წარმატებული ქვეყნების გამოცდილებისა და ადგილობრივი ბაზრის საპასუხოდ, პროგრამას დაემატა საგანთა ბლოკი **– ექსტენცია და აგროგანათლება,** რომელიც წარმოადგენს **ბერნის (შვეიცარია) უნივერსიტეტის** გამოყენებითი მეცნიერებების ინსტიტუტში მოქმედი პროგრამის ანალოგს და შემუშავებულია ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ჩართულობით გაეროს განვითარების პროგრამის – **„საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზებაში”** – პროექტის ფინანსური მხარდაჭერით.

აგროგანათლებისა და ექსტენციის კურსები ჩაშენდა როგორც ძირითად პროგრამაში მოდულად, ასევე, გამოიყო დამატებით (Minor) პროგრამად, რომლის არჩევის შესაძლებლობა მიეცემა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა პროგრამის სტუდენტებსაც. პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრები, როგორც ექპერტები, ჩართულები იყვნენ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში “საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზების” პროექტში, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ექსტენციისა და აგროგანათლების საუნივერსიტეტო პროგრამა. ამ პროგრამამ 2019 წლის იანვარში მიიღო აკრედიტაცია, ასევე, შვიდი წლის ვადით. ასე რომ, აგრონომიის პროგრამა, თავისი შინაარსით, დააინტერესებს ბევრ აბიტურიენტს, რომლებსაც ამ მიმართულებით სურთ უმაღლესი განათლების მიღება.

მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის სახელით დამსაქმებელთა ჯგუფს, კურსდამთავრებულებს, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ, რეკომენდაციებს გვაწვდიდნენ და ექსპერტთა ვიზიტის დროსაც ინტერვიუებით დაადასტურეს პროგრამის განვითარებისთვის გაწეული მხარდაჭერა.

– ქალბატონო თეა, რომელ პროგრამებს უწევთ აკრედიტაციის გავლა უახლოეს მომავალში?

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებელო პროგრამები, ცენტრის მიერ გაწერილი გრაფიკისა და აკრედიტაციის ვადების გათვალისწინებით, პერიოდულად იქნება წარდგენილი სააკრედიტაციოდ. უახლოეს მომავალში ბიზნესის ფაკულტეტი მოამზადებს ეკონომიკის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებს, რომლებსაც ვადა გასდით 2019 წლის ნოემბერში. 6 თვით ადრე, ეს პროგრამები თანდართული დოკუმენტაციით გაიგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

– ამჟამად უნივერსიტეტში მიმდინარეობს მზადება ავტორიზაციისათვის. ვიცით, რომ ავტორიზაციის სტანდარტების მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში განათლების ხარისხის განვითარება, ასევე, სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ კუთხით აქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. თუ არის სიახლეები ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით და რა ეტაპზე ვიმყოფებით ამჟამად?

– დიახ, უნივერსიტეტი ემზადება ავტორიზაციისათვის. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესი, რომელიც გულისხმობს ინსტიტუციურ შეფასებას, მოიცავს შვიდ სტანდარტს. ესენია –დაწესებულების მისია და სტრატეგია, ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი, სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები, კვლევა, განვითარება, სხვა შემოქმედებითი საქმიანობა და, რა თქმა უნდა, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

სტანდარტები ჩაშლილია ქვესტანდარტებად, კომპონენტებად და ფარავს საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა ასპექტს. ამას გარდა, აღწერს თითოეული კომპონენტის ფარგლებში მისაღწევ შედეგებს, განმარტავს შეფასების კრიტერიუმებს და განსაზღვრავს შეფასების ინდიკატორებს. მიმდინარე წლის 1 თებერვალს გახლდით განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც მხარეებმა ორწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგინეს. პრეზენტაციისას ითქვა, რომ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი დაინტერესებულ უნივერსიტეტებს განმავითარებელ შეფასებას შესთავაზებს. განმავითარებელი შეფასება გულისხმობს მხარდამჭერი ხასიათის შეფასებას, მხარდაჭერას ნიშნისა და წერის გარეშე, რაც ემსახურება იმას, რომ უნივერსიტეტებმა უკეთ განავითარონ ხარისხის შიდა კულტურა და უკეთ მოემზადნენ ავტორიზაციისთვის. კარგი იქნება, თუ ჩვენი უნივერსიტეტიც მიიღებს ამგვარ მხარდაჭერას ცენტრიდან; ეს ძალიან დაგვეხმარება ავტორიზაციის მოსამზადებელ საქმიანობაში. პრეზენტაციისას ყურადღება გამახვილდა ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნის აუცილებლობაზე. განათლების ხარისიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის გიორგი ვაშაკიძის განმარტებით, უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 50-60%-ით შემცირდება ის დოკუმენტაცია, რომელიც უნივერსიტეტმა საავტორიზაციო განაცხადში პირველ ეტაპზე უნდა წარმოადგინოს.

ჩვენს უნივერსიტეტს ავტორიზაციის სამზადისი გასული წლიდან აქვს დაწყებული. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით გეგმავს მიმდინარე წლის სამუშაოებს. შემუშავებულია გეგმა-გრაფიკი, სადაც გაწერილია ავტორიზაციის სტანდარტის, მისი ქვესტანდარტების შესრულებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის გეგმა. ეს რთული პროცესია, მაგრამ მჯერა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი წარმატებით გაართმევს თავს და ავტორიზაციას დამსახურებულად მიიღებს. ავტორიზაციის სამზადისი არ გულისხმობს მხოლოდ რექტორის, მოადგილეების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ან კიდევ რომელიმე რგოლის სამუშაოებს, უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი თანაბრად უნდა იყოს ჩართული ამ რთულ, შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეში. მთავარია, ერთად დგომა და გუნდური მუშაობა.

– დიდი მადლობა, ქალბატონო თეა, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული აკრედიტაცია

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აგვისტოში წარმატებით გაიარა აკრედიტაცია.

პროგრამა, რომელიც ხასიათდება ბევრი განსაკუთრებული თვისებით, კურსდამთავრებულს ანიჭებს განათლების მაგისტრის (დაწყებითი საფეხურის I-IV – ინტეგრირებული მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა-ლიტერატურა; I-VI – ქართული ენა და ლიტერატურა) ხარისხს.

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა შეუძლია მსურველს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მოიპოვა უფლება, ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნებად აბარებენ ისტორიას, გეოგრაფიას, ქიმიას, ბიოლოგიას ან ქართულ ლიტერატურას.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს, ასევე, საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

პროგრამის ხელმძღვანელი გახლავთ პროფესორი ირმა ქურდაძე.

აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, ქალბატონ ირმას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ქალბატონო ირმა, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ, საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით, წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. ვიცით, რომ აღნიშნულ პროგრამაზე გამოცხადებული ადგილები სრულად შეივსო. გთხოვთ, გვესაუბროთ, რამ განაპირობა პროგრამის ასეთი წარმატება.

– დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წელს გვქონდა უპრეცედენტოდ მაღალი კონკურსი. მოგახსენებთ, რომ პროგრამა გახლავთ 300 კრედიტიანი, რომელიც გულისხმობს კურსდამთავრებულისთვის ხუთ წელში მაგისტრის ხარისხის მინიჭებას და, აგრეთვე, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მიღებას. რადგან პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა აგვისტოში და პროგრამაზე მიღების ვადები იყო ძალიან შემჭიდროებული, სულ ერთი კვირა ჰქონდათ აბიტურიენტებს განაცხადის შეცვლისთვის. მიუხედავად ამისა, პროგრამაზე ადგილები სრულად შეივსო. უფრო მეტიც – პროგრამა პირველ ნომრად შემოხაზვის მსურველთა რიცხვით პირველ ადგილზე იყო საქართველოს მასშტაბით, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალზედ დიდი რაოდენობის აბიტურიენტმა პრიორიტეტად სწორედ ეს პროგრამა მიუთითა.

დიდი იყო ინტერესი გარე მობილობის მსურველებთან მიმართებითაც. გარე მობილობით ამ სპეციალობაზე გადმოვიდნენ საქართველოს ტექნიკური, საქართველოს და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტებიდან. იყვნენ მსურველები ზამთრის სემესტრშიც, მაგრამ სახელმწი-

ფო დაფინანსებით ამ პროგრამაზე ადგილების სრულად შევსების გამო, ჩვენ ვეღარ გამოვაცხადეთ გარე მობილობა.

პროგრამაზე 35 სტუდენტი სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლობს და ორი, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის არაქართველი სტუდენტი – თვითდაფინანსებით. ასევე, სწავლობს ორი მოქმედი მასწავლებელი, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია.

ეს არის ინოვაციური, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით აგებული პროგრამა, სადაც ისწავლება სწავლების ახალი მეთოდოლოგია, მიდგომები, ანალიტიკური და ჰოლისტური აზროვნება. პროგრამა ინოვაციურია, რაც გულისხმობს, რომ ახალგაზრდა დაჩქარებული წესით იღებს მაგისტრის ხარისხს და უფროსი მასწავლებლის სტატუსს. ეს კი დასაქმებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია – ეს არის უპრეცედენტოდ კარგი შეთავაზება მომავალი თაობისთვის.

ამჟამად მიმდინარეობს პირველი სემესტრის საგამოცდო სესია. დარწმუნებული ვარ, სტუდენტები წარმატებით გაართმევენ თავს, რადგან ძალზედ კარგი და მოტივირებული, მიზანსწრაფულები არიან. მიხარია, რომ ჩვენს პროგრამაზე ვაჟების რაოდენობაც სულ უფრო და უფრო იზრდება.

მჯერა, წელსაც ძალიან ბევრი მსურველი იქნება ამ პროგრამაზე.

იმ აბიტურიენტებს, ვინც შარშან ვერ მოხვდნენ, წელს კვლავ აქვთ შესაძლებლობა, თავიდან ჩააბარონ მისაღები გამოცდები და დიდი იმედი მაქვს, რომ აუცილებლად მოხვდებიან ამ უნიკალურ პროგრამაზე. ზოგადად კი, დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ევროპული უნივერსიტეტი, რასაც ადასტურებს ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების დიდი სურვილი, რომ ჩვენს უნივერსიტეტთან გააფორმონ მემორანდუმები, ხელშეკრულებები და ითანამშრომლონ მრავალგვარი კუთხით.

– გარდა მაგისტრის ხარისხის მინიჭებისა, კიდევ რა განსაკუთრებული მახასიათებლები გააჩნია აღნიშნულ პროგრამას?

– გარდა იმისა, რომ პროგრამა ხუთწლიანია და იძლევა მაგისტრის ხარისხს, პროგრამაში საინტერესოდ არის გაწერილი და გააზრებული პრაქტიკის კომპონენტიც. ახალციხის პირველ საჯარო სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ახალი სტანდარტებით აგებულ სასწავლო ლაბორატორიებში სტუდენტებს საშუალება აქვთ, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, ნახონ და ჩაატარონ სხვადასხვა ტიპის ცდები და ექსპერიმენტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სწავლების კუთხით.

განსხვავებით სხვა პროგრამებისგან, ამ პროგრამაში განსხვავებულია კრედიტების სისტემაც. გვაქვს ორი, სამი, ხუთი, ექვს კრედიტიანი კურსები. შესაბამისად, სასწავლო სემესტრებში სასწავლო საგნების რაოდენობაც განსხვავებულია. თითოეული სასწავლო კურსი, ასევე, მომზადებულია უახლოესი სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. არის ინტეგრირებული კურსები, რომელთა გავლა სტუდენტებს გამჭოლ კომპეტენციებს შესძენს. არის ბევრი სიახლე, რაც მომავალ სპეციალისტს საშუალებას მისცემს, ჰქონდეს მაღალი სააზროვნო და ტრანსფერული უნარები, ანუ ცოდნის რეალიზების საშუალება პრაქტიკაში. ზოგადად, პროგრამა სტუდენტს ამზადებს ცხოვრებისთვის. ეს არის ამ პროგრამის ყველაზე დიდი წარმატება.

– აკრედიტაციის დროს ყველაზე ძლიერ მხარედ რა დაასახელეს? თუ იყო მცირე ხასიათის ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც მოხერხდა?

– ძლიერი მხარე ჩვენი პროგრამის არის ის, რომ ეს არის პროგრამა, რომელსაც აქვს გარე შეფასება. გასული წელს ვიყავი ერთ-ერთ ევროპულ უნივერსიტეტში, იაზის უნივერსიტეტში (რუმინეთი), სადაც წავიკითხე ლექციების კურსი **ერასმუს+**-ის ფარგლებში. ამ უნივერსიტეტში მქონდა საშუალება, გამეკეთებინა ჩვენი პროგრამის პრეზენტაცია აკადემიურ პერსონალთან. იქაურმა ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამა, მოისმინეს პრეზენტაციები და, შესაბამისად, მოამზადეს დასკვნა. დასკვნა იყო რეკომენდაციის გარეშე და ძალიან კარგი. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი ძლიერი მხარე ამ პროგრამის არის მისი წარმატებული გარე შეფასება, რაც აღინიშნა კიდეც აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტის მიერ.

გარდა ამისა, პროგრამას ძალიან ბევრი ძლიერი მხარე აქვს, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ეს არის ახალი პროგრამა, რაც გულისხმობს იმას, რომ დატესტვის პროცესშია. მის მიმდინარეობას ვაკვირდებით ერთი წლის განმავლობაში. ყოველივე ახალს სჭირდება პილოტირება, გამოცდა. ჩვენ გავდივართ ახლა ამ პროცესს, გავდივართ წარმატებით და ახალ სასწავლო წელს ველოდებით ახალ, ასევე, მოტივირებულ და წარმატებულ სტუდენტებს.

– გარდა ამ პროგრამისა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სკოლების მასწავლებლებს სხვა საინტერესო პროგრამასაც სთავაზობს.

– დიახ. აქვე მოგახსენებთ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე, რომელიც შარშან 100-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა და მათგან ბევრი დასაქმდა. სკოლების დირექციებისგან მიღებული უკუკავშირებით, ასევე, სხვა არხებიდან მოწოდებული ინფორმაციით, ამ პროგრამის კურსდამთავრებულები ხასიათდებიან საკმაოდ მაღალი დონით და წარმატებით უძღვებიან სასწავლო პროცესს სკოლებში. წელს, ასევე, 70 ადგილზე იყო საკმაოდ მაღალი კონკურსი და, შესაბამისად, ყველა ადგილი არის შევსებული. ვფიქრობ, ასეთივე ტემპით გაგრძელდება ამ პროგრამაზე მსურველთა მიღება.

თუ ჩვენ ვიმსჯელებთ ზემო აღნიშნულ პროგრამებზე მსურველთა რაოდენობით და იმ შედეგებით, რაც ჩვენმა კურსდამთავრებულებმა აჩვენეს, ეს არის დადასტურება იმისა, რომ სამცხე-ჯავხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ძლიერი საგანმანათლებლო კერა რეგიონში, განსაკუთრებით მასწავლებლის მომზადების კუთხით.

ახლა უნივერსიტეტი წინასაავტორიზაციო მზადების რეჟიმშია. მიმდინარეობს მუშაობა ყველა მიმართულებით – ეს იქნება სტუდენტთა მომსახურება, ტექნიკური პირობების გაუჯობესება თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადახალისება და სხვა. დარწმუნებული ვარ, რომ ავტორიზაციის პროცესშიც ჩვენი უნივერსიტეტი თავის სათქმელს ღირესულად იტყვის.

– გმადლობთ, ქალბატონო ირმა საინტერესო საუბრისთვის. გისურვებთ წარმატებებს.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 20 წლის იუბილე

30 იანვარს ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაზეთ **„ლიტერატურული მესხეთის“** 20 წლის იუბილე აღნიშნეს. ამავე ღონისძიებაზე გაიმართა პრეზენტაცია მესხურ თემატიკაზე შექმნილი პოეზიის კრებულის – **„მესხეთი ქართულ პოეზიაში“.**

ღონისძიება ბიბლიოთეკის მენეჯერმა **ლილი აჩელაშვილმა** გახსნა და დამსწრე საზოგადოებას გაზეთის ისტორიის შესახებ მოახსენა. ბიბლიოთეკის თანამშრომელმა **მანანა ბერიძემ** კი წიგნის ანოტაცია წარადგინა. შემდეგ საზოგადოებას თავად გაზეთის რედაქტორმა და წიგნის ავტორმა **ავთანდილ ბერიძემ** მიმართა. ბატონმა ავთანდილმა ვრცლად მიმოიხილა გაზეთის ისტორია, მისი დაარსებიდან დღემდე, გაიხსენა ადამიანები, რომლებიც გვერდში ედგნენ და დღემდე ხელს უწყობენ „ლიტერატურული მესხეთის“ არსებობას.

გაზეთის პირველი ნომერი 1999 წლის იანვარში გამოვიდა. 2 500 ეგზემპლარი. ამ რაოდენობიდან მხოლოდ შვიდი ნომერი გაიყიდა. წლების განმავლობაში, გაზეთმა შეძლო საკუთარი ნიშა დაეკავებინა არა მხოლოდ რეგიონის, არამედ საქართველოს მასშტაბით და დღეს მას 2500 ხელმომწერი ჰყავს. ბატონმა ავთანდილმა გაზეთის გამოცემის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამცხე-ჯავახეთისის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლსა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ გაზეთის რედკოლეგიის უდიდესი ნაწილი ამ უნივერსიტეტის პროფესურა იყო. ასევე, რეგიონში უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობას ქართული სიტყვის განმტკიცებისა და ადგილზე სწავლა-განათლების მიღების შესაძლებლობის კუთხითაც გაუსვა ხაზი.

ბატონმა ავთანდილმა გაზეთის თემატიკაზეც გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ მხატვრული ლიტერატურის გარდა, გაზეთში, თითქმის, ყველა ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებები იბეჭდება. განსაკუთრებული ყურადღება ისტორიულ თემატიკასა და ფოლკლორს ეთმობა. ასევე, ხშირია სამეცნიერო ხასიათის თუ სხვადასხვა რელიგიის შესახებ პუბლიკაციები.

როგორც დიდი ილია ბრძანებდა, მესხეთს მეტი მართებს საქართველოს მიმართ, რომ მეტი რუსთაველი მისცეს, მეტი ქართული კულტურა შესძინოს, ჩვენი წარსულის ის მარგალიტები გააცნოს მომავალ თაობას, რომლებიც საზოგადოებისათვის დღემდე ცოცხალია. გაზეთი ამ მისიას ასრულებს. ასევე, ამ 20 წლის მანძილზე რეგიონში ბევრი პოეტი გამოჩნდა, მათ ლექსებს კი საზოგადოება პირველად ყოველთვის „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებიდან ეცნობა. – აღნიშნა ავთანდილ ბერიძემ.

გაზეთის დამაარსებელმა მადლობა მოახსენა გაზეთის დამფუძნებლებს, რედკოლეგიის წევრებს, გაზეთის დამფინანსებლებს და ავტორებს გაწეული შრომისათვის.

გაზეთის საიუბილეო ღონისძიებას ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მესხეთის თეატრის თანამშრომლები, საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები, „ლიტერატურული მესხეთის“ ავტორები და კრებულის – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, თანაავტორები ესწრებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვით გამოსვლა თითქმის ყველა დამსწრემ ისურვა. მათ ერთხმად აღნიშნეს ავთანდილ ბერიძის დამსახურება, როგორც რედაქტორის და „ლიტერატურულ მესხეთს“ ხანგრძლივი არსებობა უსურვეს.

როგორც აღვნიშნეთ, ამავე ღონისძიებაზე შედგა ლიტერატურული კრებულის **„მესხეთი ქართულ პოეზიაში“** პრეზენტაციაც. კრებულში შევიდა ყველა იმ პოეტის შემოქმედება, ვისაც მესხეთზე დაუწერია. კრებული „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ გამოსცა, 500 ეგზემპლარის ოდენობით და ყველა მათგანი უკვე გავრცელდა. კრებულში შესული ლექსები კერძო სკოლა „მზექას“ მოსწავლეებმა, დამსწრე საზოგადოების წინაშე, შთამბეჭდავად გააცოცხლეს მხატვრული კითხვით.

ლიკა ზაზაშვილი

სამხრეთული თმილი ქარის ჯვალდაჯვალ

თავდაპირველად, მკითხველს შევახსენებთ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „არავი” (სიტყვა სპარსულია და სამხრეთულ ქარს, თბილ ქარს ნიშნავს) 2016 წლის იანვრიდან გამოდის. მისი მე-20 ნომრის წარდგინება მოხდა ასპინძის ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში შეკრებილ საზოგადოებასთან, 20 იანვარს. დარბაზში იმყოფებოდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, სამუსიკო სკოლის პედაგოგები, საზოგადოების წარმომადგენლები, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები და უნივერსიტეტის თანამშრომლები.

დამსწრე საზოგადოებას მიმართა ჟურნალის დამაარსებელმა და რედაქტორმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ. მან ვრცლად ისაუბრა ჟურნალის ისტორიაზე, დაარსებიდან დღემდე, მიზეზზე, რამაც განაპირობა ჟურნალის გამოცემა. როგორც მან განმარტა, უნივერსიტეტში გამოდის სამეცნიერო ხასიათის ჟურნალი „გულანი“ , მაგრამ ასეთი – ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი არა თუ უნივერსიტეტში, არამედ სამხრეთ საქართველოშიც კი არასდროს გამოცემულა. 2016 წელს ჟურნალის 12 ნომერი იხილა მკითხველმა (მოგეხსენებათ, ყოველთვიური გამოცემაა), მომდევნო წელი კი პრობლემური აღმოჩნდა ჟურნალისთვის, რომლის გამოცემა 2018 წელს განახლდა. ახლა, მიმდინარე წლის დასწყისიდანვე, კვლავ რეგულარულად რომ გამოვა ჟურნალი, ამის ღრმა რწმენა გამოთქვა ჟურნალის რედაქტორმა.

მერაბ ბერიძემ, სლაიდშოუს საშუალებით, საზოგადოებას გააცნო „არავის” ისტორია, სარედაქციო საბჭოს წევრები, ის ავტორები, რომელთა მხატვრული შემოქმედება გამოქვეყნდა ჟურნალში – შესანიშნავი ქართველი პოეტები, მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი... ავტორთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ემიგრანტები არიან, რომლებიც სიამოვნებით და ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ ჟურნალთან. აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი „არავს“ ყოველანაირად მხარში უდგას. მხარში დგომის ნათელ მაგალითს იძლევა ის ფაქტიც, რომ მთელი რედაქცია, რედაქტორი, მოადგილე, რედკოლეგიის წევრები, რომელსაც, ძირითადად, უნივერსიტეტის თანამშრომლები წარმოადგენენ, ანაზღაურების გარეშე მუშაობენ. ისაუბრა ჟურნალის პრეზენტაციებზე.

ბატონი მერაბი ჟურნალის ფინანსურ მხარესაც შეეხო. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს არ უჭირს ჟურნალის გამოცემა, მაგრამ სასურველია, ამ საქმეში მთელი სამხრეთ საქართველო ჩაერთოს. მან მადლიერება გამოხატა იმათ მიმართ, ვინც ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადა ჟურნალს და ხელი შეუწყო მის გამოცემას. იმედი გამოთქვა, რომ მათი რიცხვი გაიზრდება.

მივესალმები იმ დიდ და კეთილ საქმეს, რასაც თქვენ და თქვენი თანამოაზრეები აკეთებთ, ამ არაჩვეულებრივი ჟურნალის სახით, ბატონო მერაბ. – ამ სიტყვებით დაიწყო გამოსვლა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ. – **მოსმენილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ჟურნალში ჩართული ადამიანების გარდა, მათ უკან ძალიან ბევრი ადამიანი დგას. ჟურნალს ნამდვილად აქვს მომავალი, რომლის ხელშემწყობნი ჩვენც ვიქნებით. რაშიც იქნება საჭირო ჩვენი წილობრივი მონაწილეობა, აუცილებლად დაგიდგებით მხარში. ვისურვებდი, რომ მასალა გქონდეთ ულევი, რადგან საზოგადოებას უფრო და უფრო მეტი მოლოდინი ექნება თქვენგან. მადლობა, რომ ჩამობრძანდით ასპინძაში; ეს დიდი პატივია, პრეზენტაცია რომ გამართეთ ჩვენთან. აქ დამსწრე საზოგადოება ფართო მასებს, თავის ახლობლებს ეტყვის იმის შესახებ, რომ ჩვენს პატარა მესხეთში, ჩვენი რეგიონის საგანმანათლებლო კერა – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემს ასეთ არაჩვეულებრივ ჟურნალს, რომელსაც სჭირდება მეტი რეკლამა, ყველას ინტერესის საგანი რომ გახდეს.**

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ – მამა ზოსიმე, ნოდარ სურმანიძე, ოთარ გოგოლაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის” რედაქტორი ავთანდილ ბერიძე, უნივერსიტეტის თანამშრომლები – ლალი ბერიძე, ნატო ყრუაშვილი, მაია ქუქჩიშვილი, თემურ მაღრაძე. ყოველი გამომსვლელი საუბრობდა ჟურნალის დანიშნულებასა და მის დიდ მნიშვნელობაზე, აღნიშნავდნენ, რომ ასეთი გასვლები და შეხვედრები ხელს შეუწყობს ჟურნალის პოპულარიზაციას – მეტი მკითველი და, ასევე, თანამშრომლობისთვის მეტი ავტორი რომ მოიპოვოს.

ღონისძიების დასასრულს, საზოგადოების წინაშე წარსდგა ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ვარძია”.

ჩვენს ინფორმაციას დავასრულებთ ასპინძის სამუსიკო სკოლის პედაგოგის ეთერ ღამბაშიძის შთაბეჭდილებით: **ეს იყო დიდი ემოციების გამომწვევი ღონისძიება. ამ სასწავლებელს ბევრი კარგი ღონისძიება ახსოვს, მაგრამ დღევანდელი შეხვედრა, მე ვფიქრობ, არის ყველაზე ღირსშესანიშნავი, ყველაზე ღირებული, რადგანაც რუსთაველის მხარეში ყველაზე მეტად უნდა იყოს გაშლილი და ფრთებშესხმული პოეზია და პროზა, მითუმეტეს, რომ ამის ბაზა გააჩნია მესხეთ-ჯავახეთს უნიჭიერესი მოსახლეობით, განათლებული კადრებით... რაც შეეხება „არავს”. ვალერიან მაღრაძემ თავისი წვლილი შეიტანა მუსიკალური ფოლკლორის შეგროვებასა და თავმოყრაში, მის პოპულარიზაციაში. ასევე მგონია, რომ ჟურნალ „არავის” გამოცემით, მთელმა შემოქმედებითმა ჯგუფმა, მერაბ ბერიძის ხელმძღვანელობით, ძალიან დიდ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. მე ვარ ძალიან ამაყიც და მადლიერიც, რომ ასეთი გამოცემა არსებობს სამცხე-ჯავახეთში.**

ჩვენი კორესპონდენტი

უკვდავების ბინადარნი

საქართველო მუდამ იამაყებს თავისი ღირსეული შვილებით, ლეგენდებად გადაეცემა თაობიდან თაობას მათი საქმიანობის შესახებ. წინამდებარე წერილში საუბარი გვექნება მხოლოდ ორ სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერზე, რომლებმაც ისე განავითარეს მეცნიერების სხვადასხვა ქვედარგი, რომ მათი ამქვეყნიური აღსასრულის შემდეგ, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებით, სამუდამოდ გახდნენ მთვარის ბინადარნი (უკვდავების ბინადარნი).

მიხეილ ვაშაკიძე

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაშაკიძე, ოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართული ასტრონომიული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს.

დაიბადა 1909 წლის 28 აგვისტოს, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. სკოლა ქ. სამტრედიაში დაამთავრა; სკოლაში განსაკუთრებული სიყვარულით სწავლობდა ფიზიკასა და მათემატიკას.

1928–1932 წლებში მიხეილ ვაშაკიძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ახლად დაარსებული აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტურაში და სასწავლებლად გააგზავნეს ქ. ლენინგრადში. ასპირანტურის კურსი გაიარა გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოს ვიქტორ ამბარცუმიანის ხელმძღვანელობით.

1936 წელს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დაიცვა დისერტაცია თემაზე – **„ჰერკულესის ახალი ვარსკვლავის ნებულარული სტადია“.**

უდიდესი პოპულარობა მიხეილ ვაშაკიძეს მოუტანა ვარსკვლავთ სივრცული განაწილების მეთოდის შემუშავებამ. ამ მეთოდის მიხედვით, გალაქტიკაში ვარსკვლავთ განლაგება წარმოდგენილია გალაქტიკის ეკვატორის პარალელურ სიბრტყეებში და ვარსკვლავთა სიმკვრივეების განაწილება განხილულია სიმეტრიის სიბრტყის მართობულ მიმართულებებში. ამით მან მოახერხა ვარსკვლავთ სტატისტიკის შვარცშვილდის ინტეგრალური განტოლების ამოხსნა ზოგადი სახით.

მიხეილ ვაშაკიძის აღნიშნული მეთოდი ზოგადია და მისი საშუალებით ვარსკვლავთ სივრცული რაოდენობის შესწავლა შესაძლებელია გალაქტიკის განედის ნებისმიერი მიმართულებისათვის (სწორედ ამ დროს გახსენდება დიდი აკაკის ცნობილი პოემიდან სტრიქონები, რომელიც ამ წერილის დასაწყისშია მოყვანილი. სინამდვილეში, შესაძლებელია, ვაშაკიძის ამ მეთოდით დიდი სიზუსტით ვარსკვლავთა დათვლა ცაზე, გასაოცარია, მაგრამ იმ ვარსკვლავებისაც კი, რომლებიც უშუალოდ არ ჩანან მოცემული ადგილიდან, სამყაროში შთანმთქმელი მატერიის გამო).

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?”
აკაკი

ქართველთა გვარ-სახელები მთვარის ზედაპირის წარმონაქმნებზე

რევაზ ჭიღლაძე
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიხეილ ვაშაკიძის ეს მეთოდი წარმატებით გამოიყენა პროფესორმა ბ. კუკარკინმა და შეასრულა გალაქტიკის შემადგენელი ქვესისტემების მორფოლოგიური გამოკვლევა. აღსანიშნავია, რომ პროფესორმა ბ. მარქარიანმა ამ მეთოდით შეისწავლა გალაქტიკური შთანთქმა და სხვა.

მიხეილ ვაშაკიძისაგან დამოუკიდებლად და, თითქმის, ერთდროულად აღნიშნულ მეთოდს მიაკვლია გამოჩენილმა ჰოლანდიელმა ასტრონომმა ოორტმა. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მას მოიხსენიებენ ვაშაკიძე-ოორტის მეთოდის სახელწოდებით.

მიხეილ ვაშაკიძემ, 509 გარეგალაქტიკური ნისლეულისა და 110 გრძელპერიოდიანი ცეფეიდის ფერის მაჩვენებელთა კატალოგის ანალიზის საფუძველზე, შეისწავლა ვარსკვლავთშორისი ნეიტრალური შთანთქმის არსებობის საკითხი. გალაქტიკური მანძილების განსაზღვრის ფორმულაში მან შეიტანა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიხეილ ვაშაკიძის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შესრულებული სამუშაო, რომელიც შეეხება გალაქტიკური და გარეგალაქტიკური ნისლეულების გამოსხივების სინათლის პოლარიზაციას. ამ მიმართულებით საინტერესო აღმოჩნდა ე.წ. კიბორჩხალის ნისლეული (ეს სახელი ნისლეულს მისი ფორმის გამო უწოდეს).

სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მიხეილ ვაშაკიძე აბასთუმნის ასტრფიზიკურ ობსერვატორიაში ხელმძღვანელობდა ასტროფიზიკისა და ვარსკვლავთ ასტრონომიის განყოფილებას, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

პროფესორი მიხეილ ვაშაკიძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

პროფესორი მიხეილ ძე ვაშაკიძე გარდაიცვალა 47 წლის ასაკში, 1956 წლის 27 ნოემბერს. საოცარია, რომ მასთან უკანასკნელი გამოსათხოვარი წუთები დაემთხვა 1956 წლის 2 დეკემბრის მზის დაბნელებას, თითქოს მას მზეც გლოვობდა; ბატონ მიხეილს ხომ ბევრი დრო და ენერგია შეუწირავს ბუნების ამ შესანიშნავი მოვლენის დაკვირვება – შესწავლისათვის.

1970 წელს, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილებით, ამეთანთქმის ნეიტრალურ კომპონენტს.

აღნიშნული შრომა საფუძვლად დაედო მიხეილ ვაშაკიძის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც დაიცვა 1950 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შრომა შემდგომ გამოსცა მონოგრაფიის სახით.

მნიშვნელოვანი შედეგები აქვს ბატონ მიხეილს, აგრეთვე, მზის ფიზიკური ბუნების შესწავლის საქმეში. მან აღმოაჩინა, რომ კორონაში სინათლის პოლარიზაციის ხარისხი მჭიდრო კავშირშია კორონის ფორმასთან და არ არის დამოკიდებული სინათლის ტალღის სიგრძეზე.

აღნიშნული მოვლენა პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მთვარის წარმონაქმნს, მთვარის რუკაზე ქართული გვარი დაეწერა. ეს ქართველი მეცნიერის დიდ დამსახურებაზე მიუთითებს და წარმოადგენს საერთო აღიარების ნათელ დადასტურებას.

ვიქტორ ჯაფიაშვილი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვიქტორ პეტრეს ძე ჯაფიაშვილი 65 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

დაიბადა 1924 წლის 20 ივნისს, ბორჯომის რაიონის სოფელ დაბაში, სადაც გაატარა ბავშობა და ყრმობა.

სამამულო ომის (1941-1945 წწ.) დაწყების პირველსავე დღეებში გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის ჯავშანი იცავდა ფრონტზე წასვლისაგან, მოხალისედ გაემგზავრა ომში. 1942 წელს დაიჭრა ქ. ტუაფსესთან კავკასიისადმი მიმდინარე ბრძოლებში.

ვიქტორ ჯაფიაშვილი 1945 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1949 წელს. მან პირველმა (1950 წლიდან) დაიწყო მთვარის შესწავლა ელექტრო – პოლარიმეტრული მეთოდით,1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – **„მთვარის ზედაპირის აგებულების გამოკვლევა ელექტროპოლარიმეტრული გაზომვებით,“** რომელიც 1957 წელს გამოსცა მონოგრაფიის სახით. 1982 წელს, ა. კოროლთან ერთად, მსოფლიოში პირველად გამოსცა **„მთვარის პოლარიმეტრული ატლასი“** და მიენიჭა ბრედიხინის სახელმწიფო პრემია.

1988 წელს ვიქტორ ჯაფიაშვილმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის შტენბერგის ასტრონომიულ ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – **„მთვარის პოლარიმეტრული ატლასის შექმნა და მისი გამოყენება მთვარის ზედაპირის ფიზიკური თვისებების შესასწავლად“** და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ვიქტორ ჯაფიაშვილის ძირითადი სამეცნიერო შედეგები გამოყენებულია მრავალ მონოგრაფიასა და სასწავლო ლიტერატურაში (ნ. ბარაბაშვილი, ვ. შარონოვის, ზ. კოპალისა და სხვათა შრომებში). მას წაკითხული აქვს სამეცნიერო მოხსენებები: აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, უკრაინაში, სომხეთში და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე.

35 წლის განმავლობაში იგი იყო აბასთუმნის ასტრფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხელმძღვანელობდა მთვარე – პლანეტების განყოფილებას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თსუ ახალციხის ფილიალში კითხულობდა ლექციებს; ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სადიპლომო და საკონფერენციო თემებს; 2000-2002 წლებში იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

ობსერვატორიაში ბატონმა ვიქტორმა საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო მიმართულებას – **„მთვარისა და პლანეტების ელექტროპოლარიმეტრული მეთოდით შესწავლა“,** ამ მიმართულებით აღიზარდა ათამდე მეცნიერი, რომლებიც, ასევე, ზრდიან ახალგაზრდა კადრებს.

ვიქტორ ჯაფიაშვილი, 92 წლის ასაკში, 2015 წლის 17 აგვისტოს დარდაიცვალა.

მეცნიერებაში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის, საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება მთვარის კრატერს, რომელიც მდებარეობს კრიზისებისა და ნაყოფიერების ზღვებს შორის (კოორდინატები: განედი 70-90 და გრძედი 540 25 -570) ეწოდოს ვიქტორ ჯაფიაშვილის სახელი.

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „Astronomy & Astrophysics (Caucasus)“ **მორიგი მესამე ნომერი, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ევგენი ხარაძის დაბადებიდან 110 წლისთავს.**

ჟურნალში წარმოდგენილია საქართველოსა და საზღვარგარეთის (უმეტესწილად) 50-მდე მკვლევარის ორიგინალური სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეძღვნება მზის, მზის სისტემის სხეულებისა და ჩვენი გალაქტიკის ობიექტების გამოკვლევას.

წარმოდგენილი სამეცნიერო შრომები ასახულია ჰარვარდისა და ნასას კლასიფიკატორში.

ინფორმაციები

● **17 იანვარს,** საქართველოს ბანკის წარმომადგენლები შეხვდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალს. მათ ვრცლად ისაუბრეს სახელფასო პროგრამების პირობების, დისტანციური პროდუქტების, კრედიტებისა და სხვა სერვისების შესახებ, ასევე, უპასუხეს ყველა დაინტერესებული პირის შეკითხვას.



● **21 იანვარს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოწვეულმა პროფესორმა, ეკონომიკის დოქტორმა – **გელა გრიგოლაშვილმა**, ჩაატარა ტრენინგი თემაზე: **„როგორ მოვამზადოთ SWOT ანალიზი“.** ანალოგიური ხასიათის შეხვედრები სამომავლოდაც გაგრძელდება.

*ინფორმაციები უნივერსიტეტის **facebook**-ის გვერდიდან*

საზღვარგარეთთან ურთიერთობის მიმართულების მრავალფეროვანი წახნაგები

გურანდა მოდებაძე
საზღვარგარეთთან ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, როგორც ყველა ევროპულ უნივერსიტეტში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. იმისათვის, რომ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს სათანადო ადგილი ეკავოს ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, საჭიროა მუდმივი ორიენტირი როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოელ სტუდენტებზე. ამისათვის კი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რეალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტ განვითარებას. სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში არსებობს მოქნილი სტუდენტური სერვისები როგორც საგანმანათლებლო, აგრეთვე, კულტურული მიმართულებით. საზღვარგარეთთან ურთიერთობის მიმართულების პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პუნქტებს:

– ხელი შეუწყოს საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სტუდენტურ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობების დამყარებას;

– ხელს უწყობს საქართველოს ფარგლებს გარეთ სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობის დამყარებას;

– ხელს უწყობს სხვადასხვა საერთაშორისო სემინარების, კონფერენციების მოწყობას და უწევს კორდინირებას უცხოეთში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების ჩართვას;

– უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო განათლების პროგრამებში მონაწილეობისათვის შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას და მიწოდებას;

– უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილებისათვის საჭირო ინფორმაციების მიწოდებას;

– ორგანიზებას უწევს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის სხვა პერსონალის საზღვარგარეთ ვიზიტებს;

– კოორდინირებას უწევს სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.

აღნიშნული საქმიანობების შესასრულებლად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია მოქნილი მექანიზმი ინფორმაციის მარტივად გასავრცელებლად როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტში მოქმედებს ორენოვანი ვებგვერდი, სადაც სისტემატურად ახლდება ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე. არსებობს სპეციალური ველი, სადაც სტუდენტს, პროფესორს შეუძლია გაიგოს ინფორმაცია მისთვის სასურველ საკითხთან დაკავშირებით (საგანმანათლებლო პროგრამები, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, საერთაშორისო პროექტები). ინფორმაციის გასავრცელებლად უნივერსიტეტში ინფორმაცია თავსდება საინფორმაციო დაფაზე, სოციალურ ქსელსში, გაზეთში. იმართება, აგრეთვე, საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის დროული მიწოდება მომხმარებელთან.

პარტნიორობის გაზრდისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის თანამშრომლები ესწრებიან სხვადასხვა სახის შეხვედრებს, როგორიცაა, მაგალითად, უნივერსიტეტის მომუშავე პერსონალის შეხვედრა (staff Meeting). ყველაზე აქტიურად ვიყენებთ ინტერნეტს, რომლის საშუალებით მოვიპოვებთ კორესპონდენციას და მოვიძიებთ პარტნიორებს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს თავის პროფესორ-მასწავლებლების კონტაქტებს საზღვარგარეთ, რაც კონკრეტული მიმართულების ინტერნაციონალიზაციის გაზრდას იწვევს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებშია. ასევე, თავად მართავს საერთაშორისო კონფერენციებს და სიმპოზიუმებს. პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდა სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალებში. უნივერსიტეტმა ბიუჯეტში გამოყო თანხა, რომლის დახმარებითაც ჩვენი მეცნიერები გამოაქვეყნებენ ნაშრომებს საერთაშორისო ჟურნალებში.

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის, როგორც პროგრამული, ასევე, ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია უფასო ინგლისური ენის კურსები, სადაც პროფესორ-მასწავლებლები იუმჯობესებენ ენის ცოდნის კომპეტენციას. ეს კი ხელს უწყობს საერთაშორისო აქტივობებში მათ ჩართვას.

ერასმუს+ (ERASMUS+) პროექტებში ჩართული იყო ოცდაათზე მეტი პროფესორი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი. საერთაშორისო მობილობასა და გაცვლით პროგრამაში მონაწილეობდა 20-მდე სტუდენტი. დიდია აქტიურობა საზაფხულო, ზამთრის, შემოდგომის სკოლებისა და მოკლევადიან კურსებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობის, რომელიც ჯამში ასს აღემატება.

იქმნება უცხოენოვანი კურსები უცხოელთათვის, აგრეთვე, უნივერსიტეტი მუშაობს ერთობლივი პროგრამების წარმატებით დასანერგად. უცხოელებს სთავაზობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. უცხოელთათვის იბეჭდება ბროშურები, ბუკლეტები და ტრიპლეტები, რათა მარტივად შეძლონ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტზე ინფორმაციის მოძიება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით დადასტურებული 25 პარტნიორი ჰყავს, თუმცა, პარტნიორთა რიცხვი, რომელიც სხვადასხვა პროექტის ფარგლებშია, ბევრად მეტია.

უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში როგორც ინსტიტუციური განვითარების (CBHE), აგრეთვე, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა (ICM). უნივერსიტეტში განხორციელებულია Tempus-ის 4, ხოლო **ერასმუსის+**-ის – 1 პროექტი. ამჯერად მიმდინარეობს **ერასმუს+**-ის სამი ინსტიტუციური განვითარების პროექტისა და საერთაშორისო მობილობის ორი პროექტის განხორციელება.

გარდა **ერასმუს+**-ის გაცვლითი პროგრამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს მემორანდუმის ფარგლებში გაცვლა, რომელიც ხორციელდება პოლონეთის „ლოძის უნივერსიტეტთან“. გაცვლითი პროგრამა – **„პირდაპირი მობილობით“** – უკვე ისარგებლა ათეულმა სტუდენტმა.

თურქულ უნივერსიტეტებთან ვთანამშრომლობთ **„მევლანას“** გაცვლითი პროგრამით.

თითოეული პროგრამის მხარდასაჭერად და უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით, საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირების ფარგლებში ახორციელებს:

– საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების კოორდინაციას;

– სტუდენტთა კონსულტირებას მიმდინარე შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ;

– ეხმარება ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში;

– უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე კავშირების დამყარებას სტუდენტებისათვის საერთაშორისო ღონისძიებებსა და პროგრამებში ჩართვის მიზნით.

საზღვარგარეთთან ურთიერთობის მიმართულება ყოველთვის ცდილობს, საზოგადოების, სტუდენტების განვითარებაში შეიტანოს წვლილი. უპირველეს ყოვლისა, მისი მიზანია, დახვეწოს და გააუმჯობესოს ინსტიტუციაში არსებული ყველა რგოლი, რათა უნივერსიტეტმა ყოველწლიურად გამოუშვას საზოგადოებისთვის სასარგებლო, აქტიური და მოაზროვნე მოქალაქეები.

სად გადის სამყაროს შეცნობის ზღვარი?

რევაზ ჭიღლაძე
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ასტრონომია მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი და, ამავ-დროულად, სწრაფად განვითარებადი დარგია. მეცნიერების თითქმის ყოველი დარგის განვითარება კავშირშია მისი განვითარების სიჩქარეზე. ქვემოთ საუბარი გვექნება ბოლოდროის რამდენიმე მნიშვნელოვან სიახლეზე.

პლანეტის აღმოჩენა ჩვენგან მზის შემდეგ უახლოესი ვარსკვლავის გარშემო

უკანასკნელ პერიოდში, ტექნიკის განვითარებასთან ერთად, იზრდება ახლადაღმოჩენილ პლანეტათა რიცხვი. დღეისათვის 3000-ზე მეტი არამზისიერი ანუ ეკზოპლანეტაა აღმოჩენილი. ადრე მხოლოდ ახლო ვარსკვლავების გარშემო მყოფი დიდი მასის პლანეტების აღმოჩენა ხერხდებოდა, ახლა კი შედარებით შორეული ვარსკვლავის გარშემო მცირემასიანი პლანეტების აღმოჩენაც ფიქსირდება.

ისეთი ეკზოპლანეტების აღმოჩენაც ხერხდება, რომლებიც მსგავსია დედამიწის, აქვთ მყარი ზედაპირი და მათ ზედაპირზე შესამჩნევია ატმოსფეროს არსებობაც კი.

დედამიწის მცხოვრებთათვის ყველაზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩვენიდან მზის შემდეგ უახლოესი ვარსკვლავის გარშემო (კენტავრის პროქსიმა) აღმოჩენილია ეკზოპლანეტა, რომელიც თავისი ვარსკვლავიდან დაშორებულია 30-ჯერ ნაკლები მანძილით, ვიდრე დედამიწა მზიდან. ეს ახლადაღმოჩენილი პლანეტა 1,3 -ჯერ დიდია დედამიწაზე, 11,2 დღე-ღამის განმავლობაში მოექცევა თავის ვარსკვლავს – „კენტავრის პროქსიმას" გარშემო; იგი კლდოვანია, დედამიწის მსგავსი. თვითონ პროქსიმა მცირე მასიანი ვარსკვლავია, ამიტომ სასიცოცხლო ზონა (ზონა, სადაც შეიძლება სიცოცხლის არსებობა, სადაც წყალი თხიერ მდგომარეობაში იქნება), მისგან დედამიწა – მზის მანძილის მეოცედით (7 500 000კმ.) იქნება დაშორებული. ერთი კია, რომ პლანეტის ასეთი სიახლოვე ვარსკვლავთან, დიდი ალბათობით, გამოიწვევს იმას, რომ პლანეტის ერთი და იმავე მხარე მუდმივად მიშვერილი იქნება თავის„მზისკენ", ე.ი. მას ერთი მხარე მუდმივად ცხელი, ხოლო მეორე მხარე მუდმივად ცივი ექნება. მაგრამ ეს სიტუაცია რამდენადმე შეიძლება შეცვალოს იქაურმა ატმოსფერულმა ცირკულაციებმა.

აღმოჩენა ეკუთვნის ლონდონის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფს ჯ. ანგლადა-ესკუდეს მეთაურობით, რომლებმაც ამისათვის ჩილეს ევროპის სამხრეთ ობსერვატორიის 3,6 მ. დიამეტრის მქონე ტელესკოპზე მაღალი სიზუსტის სხივური სიჩქარის პლანეტების მაძიებელი სპექტროგრაფი გამოიყენეს. მეთოდი ემყარება იმას,რომ პლანეტის მქონე ვარსკვლავი იმოძრავებს ვარსკვლავ-პლანეტის საერთო გრავიტაციული სიმძიმის ცენტრის ირგვლივ და თუ ორბიტის სიბრტყე ახლოსაა მხედველობის სხივთან, მაშინ პერიოდულად მოგვიახლოვდება და დაგვშორდება, რაც გამოიხატება სხივური სიჩქარის ცვლილებაში. სწორედ ამ გზით აღმოაჩინეს მეცნიერებმა ეს ეკზოპლანეტა.

მომავალში არაა გამორიცხული, დედამიწიდან კოსმოსური ექსპედიციები ესტუმრონ ჩვენს უახლოეს კოსმოსურ მეზობლებს – ამ ეკზოპლანეტის მცხოვრებლებს (აქვე გავიხსენოთ ჟიულ ვერნის გამონათქვამი:**„დადგება დრო, როდესაც მეცნიერული გამოგონებანი ყოველგვარ ფანტაზიას აღემატებიან!).**

დიდი მეცნიერებისთვის (კ. ციოლკოვსკი, ვ. ამბარცუმიანი, ე. ხარაძე და სხვ.) არაერთხელ დაუსვამთ კითხვა – რა ეშველება დედამიწის მომავალ მაცხოვრებლებს, როდესაც მზე ამოწურავს თავის ენერგიას? გალაქტიკაში მზისნაირი ვარსკვლავები ცოცხლობენ, დაახლოებით, 13 მილიარდი წელი. აქედან მზეს უკვე გავლილი აქვს 5 მილირდი წელი, გასავლელი დარჩა, დაახლოებით, 8 მილიარდი წელი.





დასმულ კითხვაზე ისინი ასეთ პასუხს იძლეოდნენ: „სიცოცხლე, არასოდეს ჩაქრება, ადამიანები გადაინაცვლებენ ერთი მზიდან მეორე მზისაკენ, მათი მოახლოებული ჩაქრობისდა მიხედვით" (გულიხმობდნენ, რომ იმ დროისათვის დედამიწაზე იქნება მაღალი დონის ტექნოლოგიები, რაც ხელს შეუწყობს მათ გადაადგილებას და მათთვის სხვა სასურველი პირობების შექმნას).

გრავიტაციული ტალღები

ასტრონომიული მეცნიერების ბოლოდროინდელ აღმოჩენათა შორის მნიშვნელოვანია ა. აინშტაინის მიერ 100 წლის წინ ნაწინასწარმეტყველები გრავიტაციული ტალღების არსებობის აღმოჩენა ექსპერიმენტულად.

ეს ექსპერიმენტი ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლაზერული ინტერფერომეტრიის გრავიტაციულ-ტალღურ ობსერვატორიაში (ლიგო), სადაც რამდენჯერმე დაფიქსირდა გრავიტაციული ტალღა.

სამყაროს გრავიტაციული ტალღები პირველად 2015 წლის 14 სექტემბერს დააფიქსირეს, თუმცა, აღმოჩენის შესახებ ცნობილი 2016 წლის თებერვალში გახდა. ტალღები, რომელთა არსებობა ასი წლით ადრე ალბერტ აინშტაინმა იწინასწარმეტყველა, რომლებიც ორი შავი ხვრელის შეერთების შედეგად წარმოიშვა. ისინი მილიონობით წლის განმავლობაში ერთმანეთის გარშემო ბრუნავდნენ, ისეთი მასიურები და სწრაფები იყვნენ, ნელ-ნელა კარგავდნენ გრავიტაციულ ენერგიას, ამიტომაც უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. როგორც ეს ჩვენი მზის სიტემის შემთხვევაშია – რაც უფრო ახლოსაა პლანეტა მზესთან, მით უფრო სწრაფია მისი ბრუნვა. ასევე ხდებოდა შავი ხვრელების შემთხვევაშიც – რაც უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, მით უფრო სწრაფად ბრუნავდნენ. ბოლოს შავი ხვრელები ერთმანეთთან ისე ახლოს აღმოჩნდნენ, რომ თითქმის სინათლის სიჩქარით ტრიალებდნენ. მეცნიერებმა დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ საბოლოო შერწყმამდე, მხოლოდ ერთ წამში მათ გამოჰყვეს იმხელა ენერგია, რასაც მზე მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ვერ გამოიმუშავებს.

ამ ციურ ექსპერიმენტში მონაწილე ერთი შავი ხვრელის მასა 28-ჯერ აჭარბებდა მზის მასას, ხოლო მეორესი – 35-ჯერ. შეჯახების შედეგად მივიღეთ 62 მზის მასის მქონე შავი ხვრელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი, დაახლოებით, ერთი მზის მასა, გრავიტაციული ტალღის ენერგიად გარდაიქმნა შეჯახების შედეგად.

გრავიტაციულ ტალღებს 1.3 მილიარდი წელი დასჭირდათ იმისთვის, რომ აშშ-ში მდებარე ლიგო-ს ობსერვატორიის დეტექტორამდე მიეღწიათ. აინშტაინი ფიქრობდა, რომ გრავიტაციული ტალღები იმდენად სუსტი იქნებოდა, ადამიანის მიერ შექმნილი ხელსაწყო მათ დაფიქსირებას ვერ შეძლებდა. მართლაც, 1.3 მილიარდი წლის წინ წარმოშობილი სიგნალი ძალიან სუსტი იყო, როდესაც 2015 წელს დედამიწამდე მოაღწია, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, რომ ასტროფიზიკაში რევოლუცია მოეხდინა.

სამი ამერიკელი ასტროფიზიკოსი – რაინერ ვაისი, ბერი ბარიში და კიპ თორნი ამ აღმოჩენისათვის ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ. საერთოდ, ამ პროექტში დაახლოებით 1000 მკვლევარი მონაწილეობდა.

ნობელიანტმა რაინერ ვაისმა განაცხადა, რომ მეცნიერები გრავიტაციული ტალღების დეტექტორის შექმნაზე 40 წელი მუშაობდნენ.

და მაინც, რას წარმოადგენენ გრავიტაციული ტალღები?

ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მიხედვით, მზე უცებ რომ გაქრეს, დედამიწა და მზის სისტემის სხვა პლანეტები მყისიერად მოსწყდებიან ორბიტებს და ღრმა კოსმოსისკენ აიღებენ გეზს, ანუ ამ ჰიპოთეტურ მოდელში ჩვენც მყისიერად უნდა შევიტყოთ მზის გაქრობა. ეს მოდელი მარტივ ახსნას გვთავაზობს – როგორც მაგნიტი იზიდავს ლითონს, ასევე მზე იზიდავს პლანეტებს. თუკი მაგნიტი უცებ დაკარგავს მიზიდვის თვისებას, მას მიწებებული ლითონი მყისიერად ჩამოვარდება. ნიუტონისეული შეხედულებით, გამქრალ მზეს პლანეტები სწორედ ასევე მყისიერად უნდა „დასცვივდეს".

ა. აინშტაინი კი ამტკიცებდა, რომ არაფერს შეუძლია სინათლის სიჩქარეს გადააჭარბოს, მათ შორის, არც ჩვენამდე „ინფორმაციის მოღწევას" მზის მიზიდულობის გაქრობის შესახებ. სწორედ აქ ვაწყდებით პარადოქსს: მზიდან ჩვენამდე სინათლის მოღწევას დაახლოებით 8 წუთი სჭირდება. მზის გაქრობას ჩვენ მხოლოდ 8 წუთში შევიტყობთ, ასევე, ჩვენთვის 8 წუთში უნდა გაქრეს მისი მიზიდულობა. ანუ, ერთი მხრივ, არსებობს სივრცე ჩვენსა და მზეს შორის და, მეორე მხრივ, არსებობს ზუსტად დადგენილი დრო – 8 წუთი, რომელიც სჭირდება სინათლეს ამ სივრცის გასავლელად, რათა ჩვენამდე მოაღწიოს და გავიგოთ „მზის გაქრობის" შესახებ. ამ მოცემულობაში კი, ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის მიხედვით „გაქრობა-აღქმების" მყისიერება არ მუშაობს. ეს როგორ? ნიუტონი ცდებოდა? რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა ყოფილიყო, ცხადი გახდა, რომ ნიუტონი ცდებოდა. მზის მიზიდულობის გაქრობა ჩვენი აღქმისთვის მყისიერი ვერ იქნება, რადგან მას აქვს ზღვრული სიჩქარე – სინათლის სიჩქარე, რომელსაც სამყაროში ვერაფერი გადააჭარბებს. მაშ რა ხდება? სწორედ ამ პარადოქსმა დააყენა აინშტაინი მიზიდულობის გვარობის ახსნის გზაზე და ათწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ გააკეთა ყველაზე ლოგიკური დაშვება – სივრცე და დრო არამარტო ერთმანეთის მიმართაა დამოკიდებული და მოვლენა ხდება სივრცე-დროში (ანუ ის ხდება სივრცის განსაზღვრულ კოორდინატებში კონკრეტულ დროს), არამედ არ არსებობს ცალკე დრო და ცალკე სივრცე. მივმართოთ სურათს:

ეს სქემატური სურათი პირობითად ასახავს გრავიტაციის მუშაობის პრინციპს, რომლის თანახმადაც გრავიტაცია სივრცე-დროის გამრუდებაა. მასიური სხეულები (მაგალითად, მზე) ამრუდებენ სივრცე-დროს, სადაც სხვა სხეულები (მაგალითად, დედამიწა) ბრუნავენ. ანალოგიური პრინციპი აქვს დედამიწას – მის მიერ გამრუდებულ სივრცე-დროში ბრუნავს მთვარე და ა.შ.

ამ ყოველივეს საფუძველი ისაა, რომ მოცემულ ფიქსირებულ გარემოში სინათლის გავრცელების სიჩქარე მუდმივია. თუ ავიღებთ რეზინის ზედაპირზე ორ წერტილს და თუ მათ შორის სივრცეს ხან შევამცირებთ, ხან გავზრდით, ასეთი სურათი გვექნება: როდესაც სიგრძე შეკუმშულია, ორ წერტილს შორის მანძილს სხივი მალე გაივლის, თუ გაწელილია, მის გავლას დიდი დრო დასჭირდება.

თუ სხეული ზემასიურია, მაშინ მას შეუძლია ისე გაამრუდოს სივრცე, რომ მთლიანად ჩაიძიროს მასში. სწორედ ამას უწოდებენ შავ ხვრელს, რომლიდანაც არავითარი ინფორმაცია არ გამოდის, მას მხოლოდ აღმოაჩენენ გრავიტაციით (მის ახლო ნებისმიერ სხეულს იზიდავს და შთანთქამს).

მომავალში გრავიტაციულ-ტალღური ანტენებით შესაძლებელი იქნება სამყაროს აჩქარებული გაფართოების ზუსტი გაზომვა, არსებული კოსმოლოგიური მოდელების მართებულობის გადამოწმება, ნეიტრონული ვარსკვლავების სფერული ფორმებიდან გადახრის დადგენა და მრავალი სხვა.

უნიკალური კოლექცია სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავში

ხათუნა კვინიხიძე
სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში 2018 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები და სამუშაო ჩატარდა; მათ შორის გამოვყოფდი ინვენტარიზაციის პროცესს.

ინვენტარიზაციის ჩატარებისა და საინვენტარო კომისიის შექმნის შესახებ 10.10.2018 წლის №3/462 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამივე განყოფილებაში და ყველა კაბინეტში, სადაც წიგნებია განთავსებული, ჩატარდა ინვენტარიზაცია. წიგნებთან ერთად აღიწერა რუქები და აუდიო მასალა.

ინვენტარიზაციის მიზანი იყო როგორც მატერიალურად მთელი წიგნადი ფონდის აღწერა, ასევე, სამინისტროს მითითებით ძირითადი წიგნადი ფონდიდან რარიტეტული წიგნების გამოყოფის, მისი ცალკე დეტალური აღწერილობის, მათი სპეციალური შენახვის პირობებისა და დაცულობის უზრუნველყოფა. ამ პროცესისთვის, იურისტთან ერთად, შემუშავდა სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რარიტეტული (იშვიათი და ძვირფასი) ფონდის განსაზღვრისა და რარიტეტული წიგნების შერჩევის წესი, რომელიც დამტკიცდა წარმომადგენლობით საბჭოზე (17.10.2018 წლის დადგენილება №27; ოქმი №6).

აქვე განვმარტავთ, რომ **რარიტეტი არის ძალიან ძველი, იშვითი, ძვირადღირებული წიგნი, სამუზეუმო ექსპონატი, ბიბლიოგრაფიული უნიკუმი, გამოცემები, რომლებსაც აქვთ სულიერი, ესთეტიკური, პოლიგრაფიული, ან წყაროთმცოდნეობითი მახასიათებლები და წარმოადგენენ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან, სამეცნიერო, ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებას.**

რარიტეტული მასალა ასე განისაზღვრება:

- **მნიშვნელოვნება** – შეუცვლელია რაიმე სხვა წყაროთი, ეპოქალური მნიშვნელობისაა; გარკვეული ლოკალური და დროის ფაქტორი ხდის შეუცვლელს;
- **დეფიციტურობა** – კონკრეტული ავტორის / თემატიკის / გამოცემის წიგნი იშვიათობაა;
- **სიძველე** (გამოცემულია 1920 წლამდე).

ფიზიკური და ესთეტიკური მახასიათებლები კი ამგვარია:

ა) ხელით აკინძული;

ბ) ორიგინალი ფოტოები ან (ხელით შესრულებული) ნახატები;

გ) გრავიურები და ა.შ.

დ) ბეჭდვის გაიშვიათებული ტიპი, მოვარაყება;

– ტირაჟის მიხედვით – 100-ზე ნაკლები ტირაჟი ითვლება რარიტეტად;

– ვისთან ასოცირდება წიგნი – თუ წიგნის მფლობელი, მხატვარი, გადამწერი, გამომცემელი, რედაქტორი იყო ვინმე ცნობილი ფიგურა, ეს ზრდის წიგნის ღირებულებას.

ინვენტარიზაციის პროცესი გაგრძელდა 2019 წლის 21 დეკემბრამდე. ამ დროისთვის აღიწერა:

ძირითადი წიგნადი ფონდიდან, რარიტეტული წიგნების შერჩევის წესის შესაბამისად, გამოიყო 229 წიგნი, მოხდა ყველა რარიტეტული წიგნის დეტალური განმარტება თუ რომელი კლასიფიკაციის მიხედვით მოხდა მისი გამორჩევა ძირითადი წიგნადი ფონდიდან. უნიკალური კოლექცია აღმოგვაჩნდა წიგნთსაცავში, რომელიც, ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ.

ჩვენთან ინახება:

უნიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონი
Энциклопедический словарь - Брокгаузъ Ф.А. Ефронъ И.А.
რომლის პირველი გამოცემა განხორციელდა მეფის რუსეთის დროს და თარიღდება 1880 წლით. ენციკლოპედიას თან ახლავს XIX საუკუნის უნიკალური ილუსტრაციები, რუქები, სქემები და სხვა დამატებითი მასალები. ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება აღნიშნული ლექსიკონის 150 ეგზემპლარი, რომელიც უნივერსიტეტს გახსნისას საჩუქრად გადმოეცა ბორჯომისა და ახალციხის მაშინდელი მუნიციპალიტეტებიდან (რაიკომებიდან).

ასევე, ძირითად ფონდს გამოეყო:

დავით ჩუბინოვის (ჩუბინიშვილის) 1890 წელს გამოცემული უნიკალური – **„ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“,** რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ენის სტრუქტურისა თუ ისტორიის კვლევისათვის.

ილია აბულაძის – **„ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი“,** მეორე შევსებული გამოცემა. ალბომში, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ქართული დამწერლობის სამივე სახის (მთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის) ნიმუშებია წარმოდგენილი, V საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. მას თან ერთვის ხელნაწერთა აღწერილობა და ქარაგმათა გახსნა. გამოცემულია 1973 წელს და არის ეპოქალური მნიშვნელობის.

დონ კრისტოფორო დე კასტელი **„ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“**. ნაშრომში წარმოდგენილია XVII საუკუნეში მოღვაწე მისიონერის დე კასტელის მიერ საქართველოს შესახებ დოკუმენტური ინფორმაცია, რუქები და ჩანახატები. ალბომში გვხვდება თეიმურაზ პირველის, გიორგი სააკაძისა და სხვა მთავრების ფოტოები, რომელთა დედნები დაცულია პალერმოში. 500 სურათზე კასტელის ხელითაა შესრულებული მინაწერები და განმარტებები ლათინურ, ბერძნულ, იტალიურ, სირიულ, ებრაულ, სპარსულ, თურქულ, ქართულ და მეგრულ ენებზე. წიგნი, რომლის მნიშვნელობა ეპოქალურია, თარიღდება 1976 წლით.

„ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“ – ამ მნიშვნელოვან ალბომზე მუშაობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები: ვალერი სილოგავა, ლია ახალაძე, მერაბ ბერიძე, ნესტან სულავა, როინ ყავრელიშვილი. წიგნში შესწავლილია ჯავახეთის ლაპიდარული წარწერები, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს VI-XIX საუკუნეებს, ჯავახეთის ისტორიულ საზღვრებს, ისტორიოგრაფიულ ნარკვევებსა და წარწერათა პალეოგრაფიულ ანალიზს. წიგნი გამოცემულია 2013 წელს, მისი მნიშვნელობა კი – ეპოქალური.

აქ მხოლოდ მცირე ჩამონათვალია არაჩვეულებრივი, უნიკალური წიგნების, რომლებიც დავანებულია ჩვენს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, მოგვმართონ და სხვა რარიტეტული წიგნების შესახებაც მიიღონ დეტალური ინფორმაცია.

პატარა მოგონებები დიდ უნივერსიტეტზე

ჩემი ცხოვრების ყველაზე ლაღი, საინტერესო და მრავალფეროვანი წლები ქალაქ ახალციხესა და თ ს უ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ახალციხის ფილიალს უკავშირდება, იმ პროფესორ – მასწავლებლებს, რომლებმაც ჯერ კიდევ ბავშვობიდან მიმაჩვიეს შერიგებას, წყენის დავიწყებას, მეგობრისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად მიყვარს... სხვისი სიხარულით გახარება.

მათ მასწავლეს სამართლიანობა, ამტანობა, ტკივილის გაძლება, რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა.

ახლაც მახსოვს, როდესაც პირველად უნივერსიტეტის კარი შევაღე, ძალიან განვიცდიდი, ვღელავდი . ცხადად მახსოვს პირველი ლექცია, ქალბატონი ნანა ტალახაძე შემოვიდა, დიდებული ადამიანი, საოცარი, სხივჩამდგარი თვალებით შემოგვხედა, გაგვეცნო და გვითხრა: „გავა დრო და... ჩემო კარგებო, თქვენ მოგინდებათ თქვათ – ცხოვრება მშვენიერია, შეჩერდი წამო!“ სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე მალევე მომიწია ამ ფრაზის და თანაც ხშირად გამეორება. უნივერსიტეტმა არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები შემძინა, რაც მთელი ამ ხნის მანძილზე გამომადგა. მაგალითად, უნივერსიტეტში, ჟურნალისტობასთან ერთად, იმასაც ვსწავლობდი, რომ გული შეიძლება დაუმსახურებლად მეტკინოს, მაგრამ უნდა მოვითმინო იმიტომ, რომ ყველაფერი კარგად იქნება; რასაც მე ვერ შევძლებ, ამას ცხოვრება დაალაგებს უჩემოდ... ანუ ეს ყველაფერი მეხმარება, სწორად ვაკეთო ჩემი საქმე სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალის №2 საჯარო სკოლაში, სადაც ამჟამად ვასრულებ სკოლის დირექტორის მოვალეობას, დირექტორის შვებულებაში ყოფნის გამო. სხვათა შორის, სკოლის დირექტორიც – ქალბატონი გვანცა გოგოლაძე, ამ ძვირფასი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომლის დამსახურებაა სკოლის წინსვლა და ჩართვა იმ მნიშვნელოვან პროექტებში, როგორიცაა: „ სკოლების თვითშეფასება განვითარებისათვის“, „კინო სკოლაში“ და სხვადასხვა აქტივობებსა და კონკურსებში.

მადლობა თქვენ ყველაფრისათვის, იმისთვის რომ, სტუდენტობის წლების წყალობით, შევიცანი სამყარო, რომელშიც მხოლოდ ორი ფერი – შავი და თეთრი კი არა, სხვა უთვალავი ფერია.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო მენატრება ლურჯად შეღებილი ფართო ფანჯრებიანი აუდიტორიები, ჩემი უნივერსიტეტი, ამ დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი და კარგი რომ მეგონა.

მადლობა უფალს, რომ არსებობს და კვლავაც იარსებებს ეს ცოდნის დიდებული ლამპარი. მეამაყება, რომ მე დღეს ახალციხის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მქვია.

ფიქრია ჩხიტუნიძე
ქ. ვალის №2 საჯარო სკოლის
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

აბიტურიენტების მოსამზადებელი კურსები - სტუდენტობის გარანტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის მიხედვით, უნივერსიტეტებმა წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც უნდა განახორციელონ სხვადასხვა ღონისძიება, უზრუნველყონ უწყვეტი განათლების ხელშემწყობი პროგრამების არსებობა. ამ მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის **„უწყვეტი განათლების ცენტრში“** არსებობს სხვადასხვა სახის კურსები, რომლებიც ცოდნის დაუფლების სხვადასხვა მიმართულებით, ასევე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ხორციელდება.

2018 წლის ოქტომბრიდან საფუძველი ჩაეყარა მასშტაბური სახის პროგრამას. ეს გახლავთ **„აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები“**, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამას ეფუძნება. მას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები უძღვებიან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გასული წელს, ღია კარის დღეზე, უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** დააანონსა ზემოაღნიშნული კურსების შესახებ. მან მოსწავლეებს და მათ მშობლებს დეტალურად მოახსენა იმ შეთავაზებებზე, რაზეც უნდა მოსულიყვნენ აბიტურიენტები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე“.

შემდგომ, აღნიშნული ინიციატივა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, ეცნობა ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რეგიონის მასშტაბით. საზოგადოებამ დადებითად მიიღო უნივერსიტეტის შეთავაზება. ოქტომბრიდან ჯგუფები დაკომპლექტდა და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ **„აბიტურიენტთა მოსამზადებელმა კურსებმა“** წარმატებით დაიწყო მუშაობა.

„აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებს“ სასწავლო განყოფილების სპეციალისტი **მანანა ობოლაშვილი** კურირებს. **მოსამზადებელ კურსებზე აბიტურიენტთა თავმოყრა მოხდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მასშტაბით. მათ, მაღალი აკადემიური ხარისხის მქონე პედაგოგების საშუალებით და მიზერული სწავლის გადასახადით, უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს, მიიღონ ის საჭირო და აუცილებელი ცოდნა, რომელიც გზას გაუკვალავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად. ჩვენთვის თითოეული მოსწავლე ძალიან ძვირფასია. ვცდილობთ, მათთვის იყოს ისეთი გარემო, რომ შეძლონ მაქსიმალურად ხარისხიანად მიიღონ საჭირო ცოდნა, სიყვარული და ყურადღება.** – გვითხრა ქალბატონმა მანანან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი რამდენიმე საინტერესო შეთავაზებით გამოირჩევა. უნივერსიტეტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება აბიტურიენტებს ყველა ძირითად საგანში, ასევე, არჩევით საგნებში შესთავაზა. ამჟამად გახსნილია ქართულ ენაში– 4, ზოგად უნარებში– 4, უცხო ენაში (ინგლისური) – 4, ისტორიასა და გეოგრაფიაში კი თითო-თითო ჯგუფი.

მეორე და მნიშვნელოვანი სწავლის საფასურია. თითო საგნის ღირებულება თვეში 25 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი აბიტურიენტები მოსამზადებელ ცენტრში სრულიად უფასოდ სწავლობენ. ასევე, ოჯახიდან ორი დედმამიშვილის შემთხვევაში, მათ გადასახადი უნახევრდებათ. აღსანიშნავია, რომ აბიტურიენტები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, „აბიტურიენტთა მომზადების კურსებზე“ გადახდილ თანხას, სტიპენდიის სახით, ეტაპობრივად, უკან მიიღებენ.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აბიტურიენტებისთვის მეცადინეობებს აკადემიური პერსონალი ატარებს, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია-სემინარებს უძღვება. თითოეულ საგანში მეცადინეობები კვირაში

ორი დღე, ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობს.

გვაქვს აბიტურიენტებისთვის მორგებული გრაფიკი. თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად ვიმუშავეთ, რომ მათვის ყოფილიყო მისაღები მეცადინეობების საათები და არ შეგვექმნა დისკომფორტი ახალგაზრდებისთვის. ძალიან კარგი მოსწავლეები გვყავს. დასწრება ყოველ მეცადინეობაზე მაქსიმალურია. გაკვეთილები აქტიურად და საინტერესოდ მიდინარეობს. – გვითხრა მანანა ობოლაშვილმა.

ასევე, მნიშვნელოვანი და საინტერესოა შემდეგი ნაბიჯი. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ადიგენის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებისთვის, „აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების“ მეცადინეობებს ადგილზე, ადიგენის საჯარო სკოლაში ატარებენ. ადიგენში მოსამზადებელი ჯგუფი ორ საგანში – ზოგად უნარებში და ინგლისურ ენაშია გახსნილი.

პედაგოგი **მერი სახამბერიძე** ადიგენის მუნიციპალიტეტის „აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებს“ ინგლისურ ენაში უძღვება. **აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებში ოქტომბრის თვიდან ჩავერთეთ პროფესორ-მასწავლებლები. მე განსაკუთრებით მიხარია ადიგენში წასვლა. აბიტურიენტები სხვადასხვა სოფლებიდან რამდენიმე კილომეტრს გადიან, სკოლაში მეცადინეობაზე რომ მოვიდნენ. ისინი მოდიან ციხისუბნიდან, ჭელიდან, მოხედან, ენთელიდან და მლაშედან. ერთი აბიტურიენტი გზაზე გველოდება, რომ გავიყოლოთ სკოლაში. ეს კიდევ უფრო მეტად მაფიქრებს იმაზე, თუ რამდენად საჭირო საქმეს ჩავჭიდეთ ხელი. თოვლში და ყინვაში აბიტურიენტები ცოდნის მისაღებად ფეხით მოუყვებიან გზას სკოლისაკენ. სწავლის პროცესიც საინტერესო და აქტიურია. გზას, რომელსაც გავდივარ კვირაში ორჯერ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ადიგენის საჯარო სკოლამდე, მნიშვნელოვანი, საინტერესო და სასიამოვნოა.** – გვითხრა ქალბატონმა მერიმ.

ასოცირებული პროფესორი **ლამზირა კობაიძე** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის მეცადინეობებს ატარებს აბიტურიენტებთან. ამბობს, რომ ძალიან მოტივირებული აბიტურიენტები ჰყავს და მათ ქართული ენისა და ლიტერატურის გარკვეული პროგრამა უკვე გაიარეს. ქალბატონი ლამზირა მადლობას უხდის უნივერსიტეტს ამ საქმის წამოწყებისთვის, რადგან მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიტყვას ამბობს.

მოსწავლეები აქტიურად ესწრებიან მეცადინეობებს, გადიან სხვადასხვა ნაწარმოებებს. ჩვენ სამწუხარო პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით. აბიტურიენტებს ესსე-ს წერა და ქართული გრამატიკა ძალიან უჭირდათ. გრამატიკული ნორმების ცოდნა კი გამოცდებზე აუცილებელი და მნიშვნელოვანია. აქ ყურადღებაა გასამახვილებელი სკოლის როლზე. მართლწერის საკითხებს და სხვა გრამატიკულ ნორმებს აბიტურიენტი გარკვეულ დონეზე უნდა ფლობდეს. ამჟამად, ეს პრობლემა დავძლიეთ. თავიდან ცოტა რთული მოეჩვენათ, მკაცრი ხართო, მეუბნებოდნენ. ახლა კი პროგრამას კარგად მიჰყვებიან. არის რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც კარგ შედეგებს აჩვენებენ. ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე კიდევ გვაქვს დრო. მე აბიტურიენტთა მესამე ჯგუფს ვასწავლი და ვფიქრობ, იმ დონეზე არიან მოსწავლეები, რომ ყველა მათგანი გაართმევს თავს ერთიან ეროვნულ გამოცდებს. – გვითხრა ქალბატონმა ლამზირამ.

უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი, დოქტორანტი **ირმა აბესაძე** „აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე“ ისტორიის სპეციალობის ერთ-ერთ ჯგუფს უძღვება. ქალბატონი ირმა აღნიშნული კურსების გახსნას მნიშვნელოვნად ორი მიმართულებით მიიჩნევს. ამბობს, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის რეგიონში განათლების მთავარი კერა და თუ არა უნივერსიტეტმა, ვინ უნდა იზრუნოს მომავალი კადრების აღზრდასა და მომზადებაზე?! მეორეც, მნიშვნელოვნად იმ აბიტურიენტების მომზადებას მიიჩნევს, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოტენციურ სტუდენტებად მოიაზრებიან.

როდესაც შემომთავაზეს, ისტორიის ერთ-ერთ კურსს გავძღოლოდი, რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო ეს ჩემთვის. ჯგუფში 10 მოსწავლეა. ისინი არიან როგორც ახალციხიდან, ასევე, ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან. მაგალითად, ნაქალაქევიდან, ზველიდან. ახალგაზრდები მოტივირებულები არიან. ვცდილობ, მაქსიმალურად ვიმუშაო ყველა მათგანთან, რომ ჯგუფური მუშაობის მეთოდის გამოყენებით ყველა იყოს ჩართული გაკვეთილის პროცესში. ადვილი არ არის, ისტორიაში მომზადება. ერთი პერიოდი აბიტურიენტები გაურბოდნენ ამ საგნის არჩევას, რადგან მასალა არის უზარმაზარი. ეს რთულია, მაგრამ ვცდილობთ, მაქსიმალურად ვიმუშაოთ და დავძლიოთ. აბიტურიენტები გარკვეული პერიოდის შემდეგ გადიან ტესტირებას. ვაფასებთ, თუ რისი გამოსწორებაა საჭირო, რა ეტაპზე არიან აბიტურიენტები. – აღნიშნა ქალბატონმა ირმამ.

ჯანაშვილი ელენე ვალიდანაა. ის მეთორმეტე კლასს ამთავრებს. როდესაც შეიტყო უნივერსიტეტში არსებული სიახლის შესახებ, გადაწყვიტა, დასწრებოდა მეცადინეობებს. ელენეს ქართული ფილოლოგიის სპეციალობაზე სურს ჩაბარება. ის ქართული ენის, ზოგადი უნარებისა და ისტორიის საგნებში ემზადება. **მინდა, რომ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდე. ამიტომ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ უკვე ვეგუები ამ გარემოს. გავიცანი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ძალიან მომწონს სწავლის პროცესი. სიმართლე გითხრათ, რადგან პირველი იყო ეს ინიციატივა, ვღელავდით, გაამართლებდა თუ არა ეს ყველაფერი. მინდა მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტს, რომ ის დაპირებები, რაც ღია კარის დღეზე გაჟღერდა, ყველა შესრულდა.**

ნინო გულიაშვილი ბოლაჯურის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა. ის მოსამზადებელი კურსების ორ საგანზე– ისტორიასა და ინგლისურ ენაზე დარეგისტრირდა. ამბობს, რომ მისი ყველა მოლოდინი გამართლდა. უნივერსიტეტმა მათ სწავლის საკმაოდ მაღალი დონე შესთავაზა. ელენეს მსგავსად, ნინოსაც სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტში სურს ჩაბარება: **თავს სტუდენტებად ვგრძნობთ. ძალიან საინტერესო გაკვეთილები გვიტარდება. შევეჩვიეთ აქაურ გარემოს. მინდა გითხრათ, რომ მომავალი კურსელებიც კი გავიცანი. დავმეგობრდით და ერთად ვუახლოვდებით სტუდენტობის ნანატრ დროს.**

მარიამ ქველაძეც ბოლაჯურის საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლეა. ამბობს, რომ უნივერსიტეტში არა მხოლოდ ლექტორების მხრიდან, არამედ ადმინისტრაციის მხრიდანაც თბილი გარემო დახვდა. მარიამი ინგლისურ ენაში, ზოგად უნარებში, ისტორიასა და ქართულ ენაში დარეგისტრირდა. მარიამის სურვილია, საჯარო მმართველობის სპეციალობის სტუდენტი გახდეს. **ის მიდგომა, რაც ჩვენს მიმართ აქვთ ლექტორებს, ძალიან კარგია. ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ მათ შემოთავაზებებს. ძალიან ბევრ ტესტებს ვაკეთებთ, ძალიან საინტერესო პროგრამა შემოგვთავაზეს ლექტორებმა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ ყველაფერს. მაგალითად, ზოგადი უნარები სკოლაში არ ისწავლება და აქ ყველა ის პრინციპი, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ამა თუ იმ ტესტს, საკმაოდ კარგად გავიგეთ.**

აბიტურიენტები მათ მეგობრებსა და მომავალ აბიტურიენტებსაც მიმართავენ: **ჩვენს თანატოლებს ვურჩევდით, რომ რეპეტიტორებთან არ ხარჯონ დიდი თანხა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე მოვიდნენ, სადაც მაღალი ხარისხის განათლებას მიიღებენ მიზერულ თანხით. არ იფიქრონ, რომ თანხის სიმცირის გამო, აქ რაიმე არ არის საჭირო დონეზე. აქ მიღებული ცოდნა სტუდენტობის გარანტია,** – აღნიშნა **ნინო გულიაშვილმა.**

ამ უნივერსიტეტში იმედგაცრუება არ იქნება არც ლექტორების და არ იმათ მიმართ, ვინც ამას გეტყვით. მომავალ აბიტურიენტებს ვურჩევთ, რომ მოვიდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე და ჩვენს ნათქვამში თავადაც მარტივდ დარწმუნდებიან. – აღნიშნა **მარიამ ქველაძემ.**

ჩვენთან საუბრის დასასრულს ნინომ, მარიამმა და ელენემ გამოთქვეს სურვილი, უკეთესი იქნება, თუ უნივერსტეტი სამომავლოდ გაითვალისწინებს და თითოეულ ჯგუფში მოსწავლეთა უფრო ნაკლები რაოდენობა იქნება.

ლიკა ზაზაშვილი

კვლევები სტუდენტთა მონაწილეობით

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრი ყოველ წელს, ეტაპობრივად, ატარებს რეგიონის შრომის ბაზრის კვლევებს. აღნიშნული კვლევები გულისხმობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლევის შესწავლას, რაც მოიცავსკურსდამთავრებულთა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით კმაყოფილების შესწავლას, კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვებას, დაუსაქმებლობის შემთხვევაში – უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირებას, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირის გამოვლენას, იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება და სწავლის გაგრძელება) განხორციელებას და ბოლოს – კურსდამთავრებულთა მონაწილეობას პროგრამის შემდგომ განვითარებაში.

წელს პირველად, კვლევებში მონაწილეობის მისაღებადგამოცხადდა მოხალისე სტუდენტების კონკურსი, რომლის შედეგად შეირჩა ათი სტუდენტი სხვადასხვა ფაკულტეტიდან.

აღნიშნულ კვლევებს ხელმძღვანელობს კარიერული ზრდის ცენტრის უფროსი, სპეციალისტი **მერი სახამბერიძე**. ქალბატონ მერის რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ქალბატონო მერი, გვესაუბრეთ სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრის ამჟამინდელ კვლევებზე.

– ამჟამად ვიკვლევთ 2016-17-18 სასწავლო წლის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას. კვლევა ორ ეტაპად მიმდინარეობს. ერთის მხრივ, მიმდინარეობს კურსდამთავრებულების კმაყოფილების ინდექსის კვლევა და მეორე – დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა, ანუ, რამდენად კმაყოფილები არიან ისინი კურსდამთავრებულთა მიერ მიღებული ცოდნითა და უნარებით. უკვე ვაწარმოეთ ორი ფაკულტეტის პროგრამების კვლევა. ეს გახლავთ იურიდიული ფაკულტეტის, როგორც სამაგისტრო, ასევე საბაკალავრო პროგრამების, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამივე საფეხურის – საბაკალავრო, სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების კვლევა. დღეს უკვე გადავდივართ განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებზე.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ემპირიული მასალების შეგროვება. როდესაც დავასრულებთ ამ მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას,ბაზაში განახლებას, მიღებული ინფორმაციით დავიწყებთ უკვე კვლევაზე მუშაობას.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, კვლევის პროცესში მონაწილეობენ სტუდენტები...

– დიახ, კვლევის პროცესში მონაწილეობენ მოხალისე სტუდენტები და ამიტომაცაა იგი ძალზე საინტერესო. კვლევებში მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა მოხალისე სტუდენტთა კონკურსი, რომლის შედეგად შეირჩა ათი მოხალისე. მათთვის ეს ახალი სფეროა. სტუდენტები სხვადასხვა სპეციალობებზე სწავლობენ. ჩვენ რაიმე შეზღუდვა ამ მხრივ არ გვქონია.

– თქვენი ვარაუდით, როდის დასრულდება კვლევები?

– არ ვიცით დასრულების დრო. ჩვენ ერთი კვირა გვაქვს ემპირიული მასალების მიმოხილვისა და შეგროვებისათვის, მეორე კვირას უკვე ვგეგმავთ მიღებული მასალების დამუშავებით კვლევებზე გადასვლას.

– თქვენ ყოველ წელს, ეტაპობრივად, აწარმოებთ რეგიონის შრომის ბაზრის კვლევას. როგორი სურათი იკვეთება?

– თუ დავეყრდნობით ჩემს მიერ მანამდე ჩატარებულ კვლევებს, რომელსაც ყოველწლიურად ვატარებ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 100 პროცენტიდან 97 პროცენტია დასაქმებული. გარდა იმისა, რომ ვიკვლევთ – რამდენი პროცენტია დასაქმებული, ვიკვლევთ, ასევე, დაუსაქმებლობის მიზეზსაც.

ქალების შემთხვევაში დაუსაქმებლობის მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, არის დეკრეტული შვებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მათი ნება და ფიზიკური მდგომარეობაა, რომელიც მოითხოვს დეკრეტული შვებულების გაფორმებას. მეორე შემთხვევაში, სტუდენტების ნაწილი ამ ეტაპზე მათთვის სასურველ ვაკანტურ ადგილს ვერ პოულობენ. მთელი საჯარო, არასამთავრობო თუ კერძო სექტორი ჩვენი კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული.

ჩვენ გავესაუბრეთ კვლევაში ჩართულ სტუდენტს **თაკო ხალაძესაც:**

კვლევებში ჩართვის შესახებ ინფორმაცია გავიგე ფეისბუქის საშუალებით. დავუკავშირდი ქალბატონ მერის და ვუთხარი, რომ მინდოდა ამ კვლევებში მონაწილეობის მიღება და მოხალისედ მუშაობა. შემდეგ მოხდა ჩემი არჩევა, შევუერთდი ჯგუფს და დავიწყეთ საქმიანობა. კვლევებში მონაწილეობა დიდ გამოცდილებას მძენს.საინტერესოა ჯგუფური მუშაობა. სხვადასხვა სფეროებიდან საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტს აინტერესებს, რამდენად აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს მის მიერ აღზრდილი კადრები. ამისი გაგება კი აღნიშნული კვლევების გარეშე შეუძლებელია.

ინა ბახტურიძე

„უფრო მასშტაბური გახდება პოლიგრაფიული მომსახურება რეგიონისთვის“

ნანა კედელაშვილი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსტეტის სტამბის დირექტორი

უნივერსიტეტის გამომცემლობამ, პოლიგრაფიული საქმიანობით, წარმატებით დაასრულა გასული 2018 წელი. დაიბეჭდა და გამრავლდა უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებებისათვის საჭირო პოლიგრაფიული პროდუქცია. ამავე პერიოდში გამოიცა 7 დასახელების წიგნი, რომელიც რაოდენობრივად შეადგენს 515 ცალს. აღსანიშნავია გამოცემული წიგნების მრავალფეროვნება. გამოცემულია აკადემიური პერსონალის ავტორობით მომზადებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა: **„მიწის მართვის თანამედროვე სისტემა“,** ავტორი – პროფესორი გივი ბუცხრიკიძე; **„ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმები კიბერ სამყაროში, მათი მდგრადობა და ზეგავლენა ქართულ ენაზე“,** ავტორი – ასისტენტ პროფესორი მაკა მურვანიძე; **„განათლებისა და კულტურის კერები სამცხე-ჯავახეთში“,** ავტორი – ასოცირებული პროფესორი ნატო ყრუაშვილი; **„საოჯახო ფინანსების მართვა“,** ავტორები: პროფესორი ლავრენტი ჩიბურდანიძე, პროფესორი როინ თათეშვილი, ასოცირებული პროფესორი ლაშა ჩიბურდანიძე; **„დაპროგრამება მონოლითურიდან ოოპ-მდე“,** ავტორი – პროფესორი მირზა მდივანი; **„ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“,** ავტორი – ასოცირებული პროფესორი ლერი ნოზაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობა მომსახურებას უწევს კერძო პირთა არაერთ საინტერესო წიგნის გამოცემას. გასულ წელს გამოიცა ლექსების კრებული **„ვიცი, ვისი გორისა ვარ“,** ავტორი – ციცო მაისურაძე.

ამავე პერიოდშია გამოცემული პერიოდული გამოცემები: ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი **„არავის“** ორი ნომერი (№18, №19) და სამეცნიერო შრომათა კრებული – **„ეკონომიკა, ბიზნესი, მართვა“.**

გასულ წელს, გამომცემლობის ოთახს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია – ერთმანეთისაგან გაიმიჯნა პოლიგრაფიული დანადგარებისა და თანამშრომელთა ოთახები. ამ ფორმით სამუშაო ფართის განლაგება ხელს უწყობს შრომის პირობების გაუმჯობესებას და დიდი სტიმულია ჩვენთვის, პოლიგრაფიული საქმიანობა უკეთესად რომ წარვმართოთ. მადლობას ვუხდით უნივერსიტეტის რექტორატს, ადმინისტრაციას თანადგომისთვის. მადლობას ვუხდით, აგრეთვე, ყველა იმ თანამშრომელს ვინც გვერდში გვედგა გამომცემლობის რეკონსტრუქციის პერიოდში და გულწრფელად იზიარებდა ჩვენს წარმატებას.

გამომცემლობა, მომავალშიც, აქტიურად ითანამშრომლებს უნივერსიტეტის ყველა განყოფილებასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან. ვფიქრობთ, რომ უფრო მასშტაბური გახდება პოლიგრაფიული მომსახურება სრულიად რეგიონისთვის.

ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმი" – მკითხველთა კლუბის განხილვის თემა



24 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის მკითხველთა კლუბის – **„კარცერ-ლუქსის"** სხდომა გაიმართა. შეხვედრა გახსნა ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელმა **ლალი ბერიძემ.** სხდომაზე ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა **„რაჰათ-ლუხუმი"** წარადგინა იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა **მარი დავლაშერიძემ.** მან მოკლედ მიმოიხილა მწერლის ბიოგრაფია და ისაუბრა ნაწარმოების შესახებ. აღნიშნა, რომ „რაჰათ-ლუხუმი" ისტორიული მოთხრობაა და მოქმედება მიმდინარეობს მეჩვიდმეტე საუკუნის სტამბულში. მოგზაურის ყურადღებას ვაჭარი იპყრობს, რომელიც თურქულ ტკბილეულს რაჰათ-ლუხუმს ყიდის. მოგზაური იყიდის ტკბილეულს და ვაჭრისგან უცნაურ ისტორიას ისმენს. ვაჭარი თავს ათა სულეიმანს უწოდებს და ამბობს, რომ ის ოსმალეთის მმართველის – ომან ფაშას მრჩეველი იყო. ერთ დღეს მათ გურჯებზე უნდა გაელაშქრათ. ახალციხის გზაზე ჯარს ერთი ქართველი შემოხვდა, რომელიც ოქროს ფასად თავისიანების გაყიდვას დაპირდა. ყველაფერზე მორიგდნენ, თუმცა, ეს ქართველი მალევე მოკლეს. ომან ფაშამ თავად გადაწყვიტა ციხის აღება, მაგრამ უეცრად გზაზე ჯარს ერთი ბერი შეხვდა. ფაშა დაემუქრა ბერს და დახმარების სანაცვლოდ ოქროს დაპირდა. ბერმა ლოცვის დრო მოითხოვა, მთელი დღე ილოცა. შემდეგ ფაშას უთხრა, რომ ღმერთმა ახალციხეში შენი წაყვანა მიბრძანაო. ბერმა ჯარი ისეთ ვიწრო ხეობაში შეიყვანა, რომ იქიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო. განრისხებულმა ფაშამ ბერი დაახრჩო. ამ დროს გაწვიმდა. ფაშას ყველგან ბერი ელანდებოდა. მეორე დღეს ჯარს ქართველებთან შებრძოლება მოუხდათ. ბრძოლაში გიორგი სააკაძემ მუსრი გაავლო მტრის ჯარს. ფაშას კი თავი მოჰკვეთეს.

მოკლე შინაარსის წარდგენის შემდეგ გაიმართა დისკუსია. სტუდენტებმა **მარიამ ექსეულიძემ, მარი იაძემ, ლალი უჩიძემ, ვერიკო ჯავახაძემ, ციცინო მჭედლიძემ** და **დათო გელაშვილმა** ისაუბრეს ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოების შესახებ. თავისი მოსაზრება გამოთქვა მოწვეულმა პედაგოგმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ქეთევან სალაღაიამ.**

იმდენად ლამაზად და შეფუთულად გვიყვება ავტორი ამ ისტორიას, რომ მკითხველს გულის სიღრმეში სწვდება. მოღალატის ფონზე ავტორი ცდილობს, უფრო კარგად წარმოგვიჩინოს ბერის მაგალითი, უფრო ნათელი გახადოს ჩვენთვის, რა არის პარტიოტიზმი. ნათლად გვაჩვენა, რომ ქართველებს გვყავს პატრიოტი და მისაბაძი ადამინებიც, – აღნიშნა სტუდენტმა **ოლიკო ჯავახიძემ.**



რაც არ უნდა მტკივნეული იყოს ჩემთვის ამის აღიარება, რაც ვაჭარმა ალიმირზამ თქვა, უმეტესობა სიმართლე იყო იმ პერიოდის საქართველოსთვის იმიტომ, რომ მაშინ არ გვქონდა ერთიანი სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მოღალატეები, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოში ყოველთვის იქნება უფრო მეტი პატრიოტი და კეთილის მსურველი ადამიანი, ვიდრე ისეთები, როგორებიც იყვნენ მოღალატე ქართველები, რომლებმაც ოქროს სანაცვლოდ გაყიდეს სამშობლო. – აღნიშნა სტუდენტმა **დავითი გელაშვილმა.**

პროფესორმა **უჩა ბლუაშვილმა** სადისკუსიო თემიდან გამომდინარე, ისაუბრა ქართველთა ხასიათზე, რომლის ჩამოყალიბებაც ისტორიულმა სინამდვილემ განაპირობა. **პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან საინტერესო თემაა შერჩეული. ჯემალ ქარჩხაძე არის თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელიც მრავალ ჩვენ წარმომადგენელთან ერთად დაინტერესდა ქართული ხასიათით და ძალიან ორიგინალურად წარმოადგინა ქართველი ადამიანი. მათ ახასიათებს თურქების პირით და მასში არ შეიძლება არ დაინახო რაციონალური მარცვალი, ის, რაც მართლა არის დამახასიათებელი ქართველი ერისთვის.** – აღნიშნა ბატონმა უჩამ და ქართველ ერთან დაკავშირებით სხვადასხვა მეცნიერისა და მოღვაწის ნააზრევი გააცნო დამსწრე საზოგადოებას.

„კარცერ-ლუქსის" სხდომამ საინტერესოდ ჩაიარა. აღინიშნა, რომ არდადეგებიდან დაბრუნების შემდეგ „კარცერ-ლუქსის" წევრები შეიკრიბებიან და შემდგომ შეხვედრას დაგეგმავენ.

ლიკა ზაზაშვილი

DAAD-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი

ქუთაისში, ნოემბრის მიწურულს, ჩატარდა გერმანულენოვანი ტრენინგი ტურიზმის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. სამცხე-ჯავახეთიდან ტრენინგს დაწყებითი განათლების მეოთხე კურსის სტუდენტი სოფო ქურციკიძე ესწრებოდა. ტრენინგის შესახებ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– სოფო, თითქმის, ერთი კვირა ტრენინგს დაუთმე, რომელიც ქუთაისში ჩატარდა. მოგვიყევით, რა მიზანს ემსახურებოდა ტრენინგი?

– ტრენინგი განკუთვნილი იყო იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ გერმანულ ენაზე საუბარი. რადგან გერმანულ ენას გარკვეულ დონეზე ვფლობ, სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის, გერმანული ენის სპეციალისტის – ლალი ბერიძის თხოვნით, მეც მივიღე მონაწილეობა. ტრენინგს ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი **როზემარი ლიპკა** უძღვებოდა.

– როგორ განვლო ერთმა კვირამ? რა სახის აქტივობები შემოგთავაზეს?

– თავდაპირველად, გავიცანით ერთმანეთი. გაცნობის შემდეგ კი იყო სხვადასხვა აქტივობები. ვიმუშავეთ ჯგუფურად. ვისაუბრეთ, რა მოსწონთ და რის გამო მოდიან ტურისტები საქართველოში. წარვადგინეთ სხვადასხვა კუთხის ღირსშესანიშნაობები. პირადად მე, ვისაუბრე, თუ რას ნახავს ტურისტი ჩვენს კუთხეში. სტუმრებს ქვაში ნაკვეთი ქალაქი ვარძია წარვუდგინე, ვაჩვენე ვიდეომასალა. გერმანელი სტუმრები გაოცდნენ ამ სანახაობით. ასევე, ვისაუბრე საფარის მონასტერზე, ახალციხის ციხეზე. მთელი დღე იყო განაწილებული. ვცდილობდით, არცერთი წუთი დაგვეკარგა. გვქონდა ღვინის დეგუსტაცია, იყო გასვლები მუზეუმებში, კანიონებზე, ვესტუმრეთ ქუთაისის დედათა მონასტერს. შესაძლებლობა გვქონდა, მარტვილში დაგვეგემოვნებინა მეგრული სამზარეულო. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი DAAD-ის მიერ იყო ორგანიზებული.

– რა შეგმატა აღნიშნულმა ტრენინგმა, როგორი შთაბეჭდილება დაგიტოვა?

– პირველ რიგში, გავიხსენე გერმანული ენა. ოთხი წელია, რაც გერმანელებთან აღარ მისაუბრია. პრეზენტაციის გაკეთება თითოეულ ჩვენგანს ორჯერ ან სამჯერ გვიწევდა, რამაც კიდევ უფრო განგვივითარა პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. ტრენინგმა კიდევ ერთხელ დამაფიქრა ტურიზმის მნიშვნელობაზე არა მარტო ჩვენს მხარეში, არამედ მთლიანად საქართველოში. ტრენერებმა წინ წამოსწიეს ის პრობლემები, რაც საქართველოშია ტურიზმის მიმართულებით.

– ტრენინგები თუ ითვალისწინებდა სხვადასხვა პროექტებში თქვენს მონაწილეობას მომავალში ?

– გვითხრეს, რომ DAAD-ში ერთხელ მოხვედრა ნიშნავს, რომ შენ უკვე ამ ოჯახის წევრი ხარ. ამიტომ, სხვა დროს, მსგავს აქტივობებში კვლავ ჩაგვრთავენ. შემოგვთავაზეს ენის შემსწავლელი კურსები გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, საზაფხულო დასაქმებები, რომლებიც იქნება კვების ობიექტებზე, გერმანიის ფოსტაში და სხვა. გვითხრეს, რომ ამისი აუცილებელი პირობაა, არ იყო დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. რადგან მე მეოთხე კურსზე ვარ და ოჯახი მყავს, მათ შემომთავაზეს ოჯახთან ერთად წასვლა გერმანიაში და სხვადასხვა შესაბამისი სასწავლო კურსის გავლა.

– გარდა იმისა, რომ გერმანული ენა გაიხსენე და ტურიზმის მიმართულებით ცოდნა გაიღრმავე, ალბათ, მეგობრებიც შეიძინე.

– ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ვაგრძელებთ ურთიერთობას... პირობა დავდეთ, რომ ერთმანეთს არ დავკარგავთ. შარშანწინ, ერთი პროექტის საშუალებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, რომ 6 რეგიონის სტუდენტები გამეცნო და მათთან დღესაც ვაგრძელებ მეგობრობას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს თითოეულ სტუდენტზე. გვაძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა აქტივობაში. მოხარული ვიქნები, თუ ჩვენს უნივერსიტეტში ისევ იქნება გერმანული ენის სპეციალობა. მინდა, რომ სტუდენტების მხრიდან იყოს დაინტერესება და გამოთქვან გერმანული ენის შესწავლის სურვილი.

– სოფო, მადლობა მინდა გითხრა საინტერესო საუბრისთვის და გისურვო წარმატებები.

ინა ბახტურიძე

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge